# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 9 აგვისტო, 2013 წელი.

№150-151 (7278)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

## ლაშა ბაქრაძე: საქართველოს ეკლესია დღეს ეწევა ღია პრორუსულ პროპაგანდას




7



## არჩევნების შემდეგ მთავრობაში „კარუსელი“ დატრიალდება

3

## პარლამენტი დედაქალაქს უნდა დაუბრუნდეს!

4

## კაცი – გაკვეთილი

### ჩვეულებრივი არაჩვეულებრივი ბაბუა



5

## პრემიერმა მინისტრებთან ერთად აგვისტოს ომში დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო



**საქართველოს** პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა თავდაცვის, შინაგან საქმეთა მინისტრებთან ერთად აგვისტოს ომში დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო.

ბიძინა ივანიშვილთან და მთავრობის წევრებთან ერთად მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე იმყოფებოდა „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი.

მემორიალის გვირგვინით შემკობის შემდეგ პრემიერ-მინისტრი დაღუპული ჯარისკაცების ოჯახის წევრებს გაესაუბრა და მათ მიუსამძიმრა.

ბიძინა ივანიშვილმა მუხათგვერდის სასაფლაო კომენტარის გარეშე დატოვა.

* * *

**საქართველოს** თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე პრემიერთან და შს მინისტრთან ერთად გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო.

ირაკლი ალასანია დაღუპულ სამხდროთა ოჯახის წევრებს გაესაუბრა.

– დღეს ჩვენი გმირების საფლავებთან ერთადერთი განცდა გვეუფლება ყველას, რომ ყოველთვის ყველაზე თანამედროვე და ძლიერი იარაღი საქართველოში იყო ჩვენი მეომრების გაუტეხელი სული. დარწმუნებული ვარ, რომ ეს გვამარჯვებინებდა ჩვენი მტრების წინააღმდეგ წარსულში და ეს იქნება საქართველოს წარმატებისა და გამარჯვების გარანტი მომავალში. ამიტომ მხედრული სული, რომელიც ყოველთვის იყო გამოკვეთილი ქართველ სამხედროებში – ჩვენი მომავლის გარანტი იქნება, – განაცხადა ალასანიამ.

* * *

**გუშინ** საღამოს გორის ცენტრალურ მოედანზე 700-მა სამხედრო მოსამსახურემ ერთგულების ფიცი დადო. ცერემონიაზე სიტყვა წარმოსთქვა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა.

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

◉ იმ დღეებს ძეგლი უნდა ავუგოთ

# ფოტოგამოფენა ოკუპაციის მუზეუმში

**საქართველოს ოკუპაციის მუზეუმში ფოტოგამოფენა სახელწოდებით „2008 წლის აგვისტოს ომი“ გაიხსნა. გამოფენა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ გახსნა. რუსეთ-საქართველოს ომის ხუთ წლისთავზე საქართველოს ოკუპაციის მუზეუმში წარმოდგენილია საომარი მოქმედებების დროს, კონფლიქტის ზონაში მყოფი ფოტორეპორტიორების გიორგი აბდალაძის, ირაკლი გედენიძის, ივანე შლამოვის და ზურაბ ქურციკიძის ფოტომასალა, რომელიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს და ომში დაღუპულ ჟურნალისტებს ეძღვნება.**



ფოტოგამოფენა დაათვალიერეს, როგორც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, ასევე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა.

როგორც თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა, სახეები რომლებიც სურათებზეა ასახული, გვახსენებეს, რომ ისტორიიდან უნდა გამოვიტანოთ სწორი დასკვნები. მისივე თქმით, ფოტორეპორტიორები იძლევიან იმის საშუალებას, თითოეულმა ადამიანმა გაიაზროს, თუ რამხელა ბოროტებასთან ჰქონდა საქართველოს საქმე 2008 წლის აგვისტოში. ამასთან, მინისტრი დარწმუნებულია, რომ ქართველი მეომრების მხედრული სული, რომელიც გაუტეხელი იყო ასწლეულების მანძილზე, მომავალშიც იქნება საფუძველი ქვეყნის განვითარებისა და დამოუკიდებლობის.

— ვიდრე საქრათველო არ იქნება გამთლიანებული და ჩვენი დაჭრილი სხეული არ გამთლიანდება, მანამდე ჩვენი ყველას უპირველესი მოვალეობაა დეოკუპაციაზე ზრუნვა და ეს, ბუნებრივია, მშვიდობიანი, პოლიტიკური მოლაპარაკებებით უნდა გაკეთდეს, — აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

ღონისძიებაზე იმყოფებოდა სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი. მისი თქმით, ადამიანები, რომლებმაც ეს გამოფენა შექმნეს, სააკაშვილმა დაიჭირა და როგორც ჯაშუშები გამოამწყვდია ციხეში, რადგან მათი გადაღებული კადრები არ მოეწონა. არ მოეწონა, როდესაც სააკაშვილი საკუთარ ხალხს არბევდა. მისივე თქმით, მთავარი გამოწვევა არის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, რომელიც აუცილებლად მოხდება.

ღონისძიებაზე ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრიც იმყოფებოდა. მისი თქმით, დღევანდელი დღე არის უმძიმესი დღე ქვეყნის ისტორიაში. მან მადლობა გადაუხადა გამოფენის ავტორებს და აღნიშნა, რომ მომავალ თაობებს უნდა ჰქონდეთ საშუალება ნახონ, თუ რა მოხდა 2008 წლის აგვისტოში.

გამოფენის ერთ-ერთი ავტორის გიორგი აბდალაძის განცხადებით, გამოფენა ეძღვნება კოლეგებს, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ომში დაიღუპნენ. მისი თქმით, დღეს ოკუპაციის მუზეუმში გამოფენილია 80-მდე ფოტომასალა, რომლებშიც ასახულია როგორც ომის დროს განვითარებული მოვლენები, ასევე მისი შემდგომი პერიოდი.

◉ SIC!

# ქურდს კუდი ეწვის?!

**ბოლო პერიოდში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი საქართველოს ყოფილი ხელისუფლების და თბილისის მერიის მიერ ინიცირებული დედაქალაქის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის პროექტის გარშემო განვითარებული მოვლენები გახდა.**

აღნიშნულ სარკინიგზო პროექტს ხელისუფლების ეკონომიკური გუნდის წარმომადგენლები ამ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მიიჩნევენ, ხოლო „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები და თბილისის მერი მთავრობას პროექტთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ერთობლივ მსჯელობას სთავაზობენ.

ამ თემაზე For.ge ექსპერტს ეკონომიკის საკითხებში ირაკლი ლექვინაძეს ესაუბრა, რომელიც აცხადებს, რომ თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტი მომავლის პროექტია და რადგან მშენებლობა დასასრულისკენაა მისული, მისი გაჩერება ან დაკონსერვება არ უნდა მოხდეს.

**— პროექტისადმი კრიტიკულად განწყობილი ხელისუფლების წარმომადგენლები გარკვეულ პრეტენზიებს გამოთქვამენ და კონკრეტულ არგუმენტებსაც ასახელებენ თუ რატომ არ უნდა მოხდეს ამ პროექტის განხორციელება. როგორ ფიქრობთ, ხომ არ არის თქვენი შეფასება სუბიექტური?**

— ამ სარკინიგზო პროექტის მშენებლობის დასრულებას ვემხრობი, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ პროექტის ფარგლებში რაიმე სახის ფინანსური ან სხვა ტიპის დარღვევები გამოვრიცხოთ. პროექტის დეტალები, შესაძლოა, გადახედვას მართლაც ექვემდებარებოდეს, თუმცა, საერთო ჯამში, ამ პროექტის მშენებლობის შეჩერება გაუმართლებელია.

**— განხორციელების შემთხვევაში, რა იქნება თბილისის შემოვლითი რკინიგზის მიერ დედაქალაქისთვის მოტანილი მთავარი სარგებელი?**

— პირველ რიგში, ძალიან მნიშვნელოვანი ტერიტორიები გამოთავისუფლდება და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საკუთარი ინიციატივების განხორციელების შესაძლებლობა მიეცემა. ეს ტერიტორიები შესაძლოა, დედაქალაქის თვითმმართველობამ აითვისოს, შესაძლოა, დეველოპერულმა კომპანიებმა საკუთარი პროექტების განხორციელება დაიწყონ; მოხდეს

**„თბილისის შემოვლითი რკინიგზის უკან, ყოფილი ხელისუფლების პირადი ინტერესები დგას“**

ახალი სატრანსპორტო გზის მშენებლობა და ამ ტერიტორიის მოსაზღვრე მოსახლეობაც მნიშვნელოვან სარგებელს მიიღებს. ასევე, სავსებით რეალურია, სავაჭრო ობიექტების, საცხოვრებელი კომპლექსების და სხვა მრავალი ტიპის დაწესებულების მშენებლობები.

**— პროექტთან დაკავშირებით, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ხელისუფლების ეკონომიკურ გუნდს ჰქონდა თუ არა გარკვეული კონსულტაციები ეკონომიკის სფეროში მოღვაწე ექსპერტებთან?**

— პირადად ჩემთვის არავითარ განხილვაში მონაწილეობა არ შემოუთავაზებია. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ დაიგეგმა მსგავსი ტი-



პის შეხვედრა, მე მზად ვარ მონაწილეობისთვის, თუმცა, ჩემი პოზიცია გამაჩნია და ეს არის უცვლელი — პროექტი არ უნდა გაჩერდეს, ან დაკონსერვდეს.

* * *

ამ საკითხზე კომენტარი საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმაც გააკეთა. მინისტრი არ ადასტურებს, რომ თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის პროექტი შეჩერებულია. მისი თქმით, „აღნიშნული საკითხი შესწავლის პროცესშია და ამ ეტაპზე არაა გამორიცხული, რომ მშენებლობის დროებით კონსერვაცია მოხდეს.

„საქართვლოს რკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კოკა გუნცაძის განცხადებით კი, გამტარუნარიანობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, აღნიშნული სარკინიგზო მაგისტრალი წამგებიანია, რადგან რიკოთის უღელტეხილზე კიდევ ერთ მალიმიტირებელ მონაკვეთს გააჩენს. **თბილისის შემოვლითი სალიანდაგო გზის მშენებლობის უკან, ყოფილი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის პირადი ინტერესები უფრო დგას.**

„ყოველწლიურად 50%-ით გაიზრდება მოვლა-შენახვის და საოპერაციო ხარჯები. მოძრაობის ორგანიზება ტექნიკურად გართულდება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საქართველოს რკინიგზაზე გამტარუნარიანობა კიდევ უფრო შემცირდება და კიდევ ერთი მალიმიტირებელი მონაკვეთი გაჩნდება რიკოთის უღელტეხილის გვერდით. ასე რომ, ერთ მხარეზეა ჩვენი ქვეყნის სატრანზიტო ფუნქცია, რომლის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტიც საქართველოს რკინიგზაა და მეორე მხარეს დგას ყოფილი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის ინტერესები — **გამოთავისუფლებული მიწები საკუთრებაში მიეღოთ“,** — განაცხადა კოკა გუნცაძემ.

თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის გაგრძელების საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობა საბოლოო გადაწყვეტილებას უახლოეს მომავალში მიიღებს.

**გიორგი ხუხია**

◉ ინფორმაცია

## სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ფორმირება გაურკვეველი დროით გადაიდო

**კონსტიტუციური რეფორმის მიზნით სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნის საკითხი გაურკვეველი დროით გადაიდო. პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის მხრიდან რამდენჯერმე ითქვა, რომ საკონსტიტუციო კომისია ერთ თვის ფარგლებში შეიქმნებოდა. საუბარი იყო მის პარლამენტის რიგგარეშე სხდომების პერიოდში ჩამოყალიბებაზეც, თუმცა, კომისია, რომელმაც წინასწარ გაცხადებული გეგმის თანახმად, ერთი წლის განმავლობაში უნდა იმუშაოს, ამ დრომდე ფორმირებული არ არის და სულ მცირე, საშემოდგომო სესიამდე არ შეიქმნება.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ვახტან ხმალაძემ განუცხადა, იმის მიუხედავად, რომ საკონსტიტუციო კომისიის ახლო მომავალში ამოქმედების თაობაზე ბევრჯერ ითქვა, „თავის დადგმა“ ვერ მოხერხდა.**



**ამასთან, ხმალაძის ცნობით, დაგეგმილია კომისიის პარლამენტის დადგენილებით შექმნა, რადგან ამით მას ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხი ექნება და უმჯობესია, კომისიის ამოცანიდან გამომდინარე.**

**„ინტერპრესნიუსი“ საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის საკითხითაც დაინტერესდა, თუმცა, ამასთან დაკავშირებით ხმალაძემ აღნიშნა, რომ „არის რაღაც მოსაზრებები, თუმცა, ჯერ ვერაფერს იტყვის“.**

## სააკაშვილს მთავრობაში დაბრუნების იმედი აქვს

**მე დავთანხმდები, დავბრუნდე მთავრობაში მხოლოდ იმ პირობით, თუ საშუალება მექნება, განვახორციელო ჩემი დიდი პროექტები, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა უკრაინულ ტელეკომპანია „ზიკ“-თან ინტერვიუში განაცხადა.**

**მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ დარჩება პოლიტიკაში, რადგან დიდი პოტენციალი არსებობს. — ჩვენ ძალიან ბევრი აქტიური მხარდამჭერი გვყავს. მთავარია, რომ გვაქვს გრანდიოზული პროექტები, რომლებიც არ დაგვისრულებია, — განაცხადა სააკაშვილმა. მისივე თქმით, უბრალოდ კაბინეტში ჯდომა „საერთოდ არ ხიბლავს“.**

**— ახლა მე ვზივარ კაბინეტში, თუმცა, ეს ჰგავს დამსახურებულ პენსიას, რადგან რეალურად გასაკეთებელი არაფერი მაქვს, — განაცხადა სააკაშვილმა.**

**მისი თქმით, დიდი პროექტები ნაწილობრივ ან მთლიანად შეჩერებულია, თუმცა, იმედი გამოთქვა, რომ ეს ყველაფერი დროებითია.**

**ინტერპრესი**

◉ კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

● შეყვარებულივით მემალებოდა მედვედევიო. მე დავსდევდი, ის გარბოდა და მემალებოდაო, პუტინი ცეკვავდა და მეც შევყევი საცეკვაოდ მოედანზეო. ინდური კინო ყოფილა, აუ, რას „იცეკვებდა“ მიშა!

● „რუსთავი 2“-ელებო, ამოწიეთ და გაუშვით ის კადრები რა, როგორ იყავით ბოლოში გასულები, როგორ აიღეთ სამხრეთი კი არა, თითქმის ჩრდილოეთ ოსეთი და გვაბოლებდით. როგორი მარიაჟი პახოდი მოაწყვეს პიკაპებზე ამხედრებულმა ღრუბელას პოლიციელებმა. ამოწიეთ და გაუშვით, სატანა ლომაია როგორ აბარებდა მფორთხავ მთავარსარდალს ძლევამოსილი ავიაციის მიერ ჩამოყრილ მტრის თვითმფრინავებზე პატაკებს და ბოლოს კურდღელი ბაქრაძე დანა-ჩანგლით ითხოვდა, ხალხს თავი დაეცვა. აი ეგ კადრები ამოიღეთ, ამ მკვდრის რეცხვა და პატრონის უკანალის ლოკვა არც თქვენ გიშველით და მით უმეტეს გულზე ყაყაჩო დაბნეულ ყვარყვარეს....

● მიშიკოს სცენარი იქნება, დარწმუნებული ვარ. ინტერვიუ მიდის წიგნების კარადასთან!!! და ჩართვები მიდის ყვარელში, პალმების ფონზე.




● ამ შერეკილს მგონი, უნდა, რომ გმირად გამოვაცხადოთ რუსეთთან ომის გამო.

● საქართველოს ტელესივრცეში „მაესტრო“-ზე სავაშის და „რუსთვი 2“-ზე სააკაშვილის რეიტინგი პირველობას ეცილებიან ერთმანეთს.

● გაგებით მოკიდებამდე დარჩა 80 დღე.

● პასუხის პასუხი — გიორგი გაბუნიასთან! მალე, „პოზიციის“ შემქმნელებისგან — პასუხის პასუხის პასუხი — ნინო შუბლაძესთან ერთად!

● ყვავილის ხსენება შემაზიზღეს ამ გულზეგვაზდიკადაწყობილებმა, პაემანზე არყის ბოთლით მივდივარ...

● დემოკრატიის ზეიმია, თურმე, ახალაიას გამართლება. ვინც ხელისუფლებას ამ მესიჯებს უწერს, ის ან იდიოტია, ან ძალიან უნდა ხალხის გაბრაზება... ხელისუფლების საზიანოდ. მიშაც ასე იწყებდა. თეთრზე ამბობდა, — შავიაო. შეცვალეთ ტყუილით გაჟღენთილი ეს მესიჯები, სანამ დროა კიდევ. სიმართლე უთხარით ხალხს.

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**

◉ სიტყვა და საქმე ერთი იქნება?




# წელიწადნახევარში 60-65 ათასი ადამიანი დასაქმდება!

**წელიწადნახევრის განმავლობაში დაახლოებით 40-45 ათასი სამუშაოს მაძიებელი დასაქმდება. გარდა ამისა, დროებით პროექტებში ჩაერთვება 10-12 ათასი უმუშევარი. პროფესიულ სწავლებას გაივლის დაახლოებით 10 000 ადამიანი. მათგან, სწავლის დასრულებიდან უახლოესი 6 თვის განმავლობაში, დასაქმდება დაახლოებით 40 პროცენტი. ასეთი საინტერესო და მეტად საშური გეგმები დაისახა მთავრობამ შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის მეშვეობით.**

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, უმუშევრობის დონე ქვეყანაში 15-16%-ია, ექსპერტული გათვლებით კი, ეს მაჩვენებელი, სულ მცირე, 40%-ს შეადგენს. ოფიციალური მონაცემების სიმცირე განპირობებულია იმით, რომ ქვეყანაში ყველა ადამიანი, რომელიც სოფლის მეურნეობის სფეროში ცდის ბედს, დასაქმებულად ითვლება. „საქსტატის“ ხელმძღვანელი ზაზა ჭელიძე აღიარებს კიდეც: რომ არა ასეთი მიდგომა, საქართველოში უმუშევრობის მაჩვენებლი 65%-ს გადააჭარბებდა.

სტატისტიკური კვლევების მიხედვით, დამსაქმებელთა წლიური დანახარჯები მომუშავეთა პროფესიულ სწავლებაზე, ერთ მუშაკზე გაანგარიშებით, წელიწადში, საშუალოდ, 4-5 ლარია. საქართველოში უმუშევართა, თითქმის, 1/3-ს უმაღლესი განათლება აქვს. ეს განპირობებულია როგორც მოსახლეობის მაღალი საგანმანათლებლო ცენზით და შრომის პირობებისადმი მათი გაზრდილი მოთხოვნებითა და მოლოდინებით, ისე სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული სტრუქტურული და ხარისხობრივი დისბალანსით.

ქვეყანაში უაღრესად აქტუალურია ე.წ. „ღარიბი დასაქმებულების“ პრობლემა. „დასაქმებიდან მიღებული შემოსავლები“ მომუშავეთა გარკვეული კატეგორიისათვის, საარსებო მინიმუმზე ნაკლებია. მართალია, უკანასკნელ წლებში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ ხელფასის გაუმართლებლად მაღალი დიფერენციაციის პირობებში (როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში), დასაქმებულთა მნიშვნელოვანი ნაწილის ხელფასი არსებობისათვის არასაკმარისია.

ერთი სიტყვით, მთავრობამ შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმა გამოაქვეყნა. სტრატეგიული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ უახლოეს ორ წელიწადში შეიქმნება საკანონმდებლო, მეთოდური, ინფორმაციული და ორგანიზაციული სისტემა დასაქმების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი კომპონენტების ამოქმედებისათვის. იმავდროულად მოხდება ბაზების სრულყოფა, რათა სახელმწიფოს ჰქონდეს სამუშაოს მაძიებლების გამართული ბაზა და პერსონალური მონაცემები.

2013-14 წლებში „დასაქმების ხელშეწყობის ცენტრებში“ დარეგისტრირდება, დაახლოებით, 150-170 ათასი სამუშაოს მაძიებელი. მათგან ცენტრების საშუამავლო მომსახურებით დასაქმდება, დაახლოებით, 40-45 ათასი სამუშაოს მაძიებელი. გარდა ამისა, საზოგადოებრივ სამუშაოებსა და ინფრასტრუქტურულ პროექტებში დროებით დასაქმდება ცენტრებში რეგისტრირებული 10-12 ათასი უმუშევარი. ამავე პერიოდში, შემუშავდება და განხორციელდება „უმუშევართა პროფესიული სწავლების სახელმწიფო პროგრამა“, რომლის ფარგლებში, შრომის ადგილობრივი ბაზრების მოთხოვნების შესაბამისად, მოხდება უმუშევრების პროფესიული მომზადება-გადამზადება მათი შემდგომი დასაქმებისთვის.

2013-14 წლებში პროფესიულ სწავლებას გაივლის დაახლოებით 10 000 უმუშევარი, აქედან 2013 წელს — 3 000, ხოლო 2014 წელს - 7 000 უმუშევარი. მათგან, სწავლის დასრულებიდან უახლოესი 6 თვის განმავლობაში, დასაქმდება დაახლოებით 40%.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ მასობრივი უმუშევრობის პირობებშიც, დამსაქმებელთა 1/3-ზე მეტს (ზოგიერთ რეგიონსა და სფეროში 70-80%-ს) პრობლემები აქვთ მათთვის საჭირო კადრების მოზიდვისას. ამის ერთ-ერთი მიზეზად კი მთავრობა შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განუვითარებლობას ასახელებს.

მთავრობის მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით ირკვევა, რომ შრომის ბაზარზე სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არა მარტო რაოდენობრივი, არამედ სერიოზული სტრუქტურული და ხარისხობრივი დისბალანსია. ასევე, დასაქმებულთა საერთო რაოდენობიდან მხოლოდ 38%-ია დაქირავებით მომუშავე, დანარჩენი კი თვითდასაქმებულია.

საგულისხმოა ისიც, რომ შინამეურნეობის შემოსავლებში დაქირავებით დასაქმებიდან მიღებული შემოსავლების წილი 1/3-ზე ნაკლებია. სამუშაო ძალის დაბალ ფასს ემატება დაქირავებით დასაქმებულთა მძიმე შრომის პირობები. 8 საათზე მეტი ხანგრძლივობით, შრომის მძიმე და მავნე პირობებში მუშაობა, შვებულების უქონლობა, აუნაზღაურებელი ხანგრძლივი საპრობაციო პერიოდი, ხელფასის დაგვიანება, სამუშაოდან დაუსაბუთებლად გათავისუფლება, ასაკით, პროფკავშირის წევრობის გამო ან პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაცია, საქართველოს შრომის ბაზარზე მასობრივ მოვლენებად იქცა.

**„ამას ხელი შეუწყო საქართველოს შრომის კოდექსის ე.წ. „ლიბერალიზაციამ“. საქართველოს შრომით კანონმდებლობაში 2006 წელს და შემდგომ პერიოდში განხორციელებული ცვლილებების შედეგად არსებითად გაუარესდა მოქალაქეთა შრომითი და სოციალური უფლებების რეალიზაციის პირობები და ქვეყანამ ამ სფეროში უკან დაიხია“,** — ნათქვამია სტრატეგიულ დოკუმენტში.

**ეკა ბაქრაძე**

◉ „ჩვეულებრივი პროცესი“

# არჩევნების შემდეგ მთავრობაში „კარუსელი“ დატრიალდება

**მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი, შესაძლოა, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ თანამდებობას დაემშვიდობოს. საპარლამენტო კულუარებში აცხადებენ, რომ მმართველი გუნდი კბილაშვილის მუშაობით უკმაყოფილოა და შესაძლებელია, მას პოსტის დატოვება რამდენიმე მინისტრის მსგავსად მოუწიოს.**

როგორც უმრავლესობის ლიდერები for.ge-სთან კულუარულ საუბარში აღნიშნავენ, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, „კარუსელი“ მთავრობაშიც დატრიალდება და თანამდებობას რამდენიმე მინისტრი დატოვებს, რომელთა მუშაობის ტემპი პრემიერ-მინისტრს არ მოსწონს.

**„არჩევნებამდე საკადრო ცვლილებებს არ ელოდოთ! ზოგიერთი მაღალჩინოსნის თანამდებობებიდან გათავისუფლება საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მოხდება, მათ შორის კბილაშვილის“,** — განუცხადა for.ge-ს მმართველი გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა კულუარულ საუბარში.

მართალია, უმრავლესობის ლიდერები კბილაშვილის მიმართ საჯარო კრიტიკას ერიდებიან, თუმცა, კულუარულ საუბრებში მთავარი პროკურორის „უმოქმედობაზე“ აპელირებენ. ასე მოხდა გუშინაც, კერძოდ, დახურულ ფორმატში, საპარლამენტო უმრავლესობისა და მთავარი პროკურორის შეხვედრა იყო ჩანიშნული და სანამ ცნობილი გახდა, რომ არჩილ კბილაშვილი „მნიშვნელოვანი საქმის გამო“ უწყებას ვერ ესტუმრებოდა, კანონმდებლები კითხვას სვამდნენ — „რისთვის მოდის?!“. დეპუტატთა კითხვას პასუხი პარლამენტის თავმჯდომარემ გასცა, რომელმაც აღნიშნა, რომ მას წუხელ, არჩილ კბილაშვილმა დაურეკა და ბოდიში მოუხადა, რომ გარკვეული საქმეების გამო ქუთაისში ჩასვლას ვერ ახერხებდა.

**„წუხელ, ბატონი არჩილი დამიკავშირდა და ბოდიში მომიხადა, რომ პარლამენტში ვერ მოვა. დეტალები არ უთქვამს, მაგრამ დამაინტრიგა, მნიშვნელოვანი საქმე არისო. ეს შეხვედრა ვერ შედგება“,** — აღნიშნა უსუფაშვილმა.

თუ რატომ „დაინტრიგდა“ პარლამენტის თავჯდომარე და თუ რატომ არ ესტუმრა უწყებას არჩილ კბილაშვილი, ამის გარკვევის მიზნით, for.ge მთავარი პროკურატურის პრესსამსახურის ხელმძღვანელს დაუკავშირდა, თუმცა, შვებულებაში ყოფნის გამო, აღნიშნულის შესახებ ინფორმაციებს ხათუნა პაიჭაძე არ ფლობს და დაგვპირდა, რომ დეტალებს ხვალ გაიგებს.

საკანონმდებლო ორგანოში დანიშნული შეხვედრა რატომ ჩაიშალა, ამის შესახებ ინფორმაციას არც კანონმდებლები ფლობენ.



როგორც for.ge-ს შალვა შავგულიძემ განუცხადა, პარლამენტმა შეხვედრის ინიციატივით მთავარ პროკურორს მიმართა და თუ ეს შეხვედრა შედგებოდა, კარგი იქნებოდა.

**„შეხვედრაზე ბატონმა არჩილმა თანხმობა განაცხადა, მაგრამ ის ქუთაისში გადაუდებელი საქმის გამო ვერ წამოვიდა. მისი განცხადების მჯერა, რადგან რაიმე შემაფერხებელი გარემოება იმისა, რომ ბატონ არჩილს უმრავლესობასთან შეხვედრა არ უნდოდეს, არ არსებობს“,** — აცხადებს შავგულიძე, რომლის მსგავსად, პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე აღნიშნავს, რომ შეხვედრა მომავალში გაიმართება.

კობახიძის თქმით, მთავარ პროკურორთან გამართულ შეხვედრაზე, ის დაინტერესდება — თუ რა ვითარებაა საჩივრების განხილვის თვალსაზრისით, რადგან პროკურატურაში ყოველდღე ასობით საჩივარი შედის.

**„საქმეების გადასინჯვასა და გამოძიებას მეც მთხოვენ, რის გამოც, მთავარ პროკურატურაში შუამდგომლობებს ვაგზავნი. პროკურატურაში ათასობით საჩივარი დევს და მაინტერსებს, რა ვითარებაა. ეს ძალიან მძიმე ტვირთია, რომელიც მთავარმა პროკურატურამ უნდა ზიდოს. მესმის, რომ კადრების პრობლემაა, რაც ამ პროცესს აფერხებს, მაგრამ მოქალაქეებს პასუხი უნდა გავცეთ. არჩილ კბილაშვილი ძალიან გახსნილია, რასაც ზურაბ ადეიშვილზე ვერ ვიტყოდით, რომელიც ჟურნალისტებს ბოლოს როდის შეხვდა, არავის ახსოვს“,** — განაცხადა კობახიძემ.

**თეონა მანაგაძე**

◉ გუშინ

## სააკაშვილმა აგვისტოს ომის ტრაგედიის გამო პასუხი უნდა აგოს!

**ამის შესახებ „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა, პრეზიდენტობის კანდიდატმა ნინო ბურჯანაძემ განაცხადა.**

**ნინო ბურჯანაძემ მუხათგვერდის სასაფლაოზე აგვისტოს ომში დაღუპულთა მემორიალი გვირგვინით შეამკო და დაღუპული სამხედროების ოჯახის წევრებს გაესაუბრა.**

## ისტორიის ვერდიქტი სააკაშვილის შესახებ იქნება – ბევრი ლაპარაკი, არაადეკვატურობა და შიში

**ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ჟურნალისტებს მიხეილ სააკაშვილის გუშინდელი განცხადების კომენტირებისას განუცხადა.**

**თეა წულუკიანი ეთანხმება პრეზიდნტის განცხადების იმ ნაწილს, რომელშიც სააკაშვილი აცხადებს, რომ მის საქმიანობას საქართველოს ისტორია შეაფასებს. თუმცა ვფიქრობ, რომ ისტორიის ვერდიქტი მის შესახებ იქნება დაახლოებით სამი სიტყვის გარშემო: ბევრი ლაპარაკი, არაადეკვატურობა და შიში, — განაცხადა წულუკიანმა.**

## პრეზიდენტი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ქვეყნისთვის

**პარტია „საქართველოს გზის“ თავმჯდომარე თეიმურაზ მურვანიძე მიხეილ სააკაშვილის განცხადებების გამო აღშფოთებას გამოთქვამს და შესაბამის ორგანოებს პრეზიდენტის წინააღმდეგ კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაწყებისკენ მოუწოდებს.**

**როგორც მურვანიძის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, 8 აგვისტოს, როდესაც მთელი ქვეყანა 2008 წლის ომში დაღუპულ გმირებს გლოვობს, პრეზიდენტი აშკარად და დაუფარავად აგრძელებს ქვეყნის სამხედრო და უსაფრთხოების პოტენციალზე გაუმართლებელ დარტყმებს.**

**მისი თქმით, პრეზიდენტის მიდგომა საფრთხეს უქმნის საქართველოს პარტნიორ ქვეყნებს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ისრაელსა და ბულგარეთს, რომლებმაც საქართველოსათვის სამხედრო ტექნიკის გადმოცემით დიდი სამსახური გაუწიეს ქვეყნის სამხედრო პოტენციალის ამაღლებას.**

## რუსეთის საპატრიარქომ აფხაზებს ავტოკეფალიის საკითხის განხილვაზე უარი უთხრა

**— რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია პატივს სცემს თითოეული ადამიანის თავისუფალ მრწამსს, ისევე როგორც აფხაზი ხალხის რელიგიურ ტრადიციებს. თუმცა, მისი აღმსარებლობითი ნორმები საშუალებას არ იძლევა, განვიხილოთ ორგანიზაციის და ეკლესიის შიდა პრობლემები მათთან ერთად, ვინც ეკლესიის მიღმა დგას და არ იზიარებს ქრისტიანულ შეხედულებებს, — ასე პასუხობს რუსეთის საპატრიარქოს სინოდის საინფორმაციო განყოფილება აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტთან არსებული სტრატეგიული კვლევების ცენტრის 13 წარმომადგენლის მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილისადმი წერილს. ამ წერილის ხელმომწერები შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ე.წ. აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი ჯერ კიდევ გაურკვეველია.**

ინტერპრესი

ძიძგი, ძიძგი... ნაცეგო



# პარლამენტი დედაქალაქს უნდა დაუბრუნდეს!

## „ნაციონალები“ ქუთაისში მიღებული ხმების რაოდენობით პარლამენტის ადგილსამყოფელის ბედს გადაწყვეტენ

**ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, შესაძლოა, ქუთაისში კიდევ ერთი წელი დარჩეს. საპარლამენტო კულუარებში ინფორმაცია ვრცელდება, რომ ხელისუფლება უწყების თბილისში დაბრუნებას კიდევ ერთი წელი არ გეგმავს და შესაძლოა, საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, პარლამენტის ადგილსამყოფელი განისაზღვრება, კენჭისყრაზე საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დადგეს.**

მმართველი გუნდი პარლამენტის ქუთაისში ყოფნის ერთ-ერთ მოტივად, რუსთაველის გამზირზე მდებარე შენობის სასესიო დარბაზებს ასახელებს და ხუთთვიან სარემონტო სამუშაოებზე აპელირებს, ხოლო უმცირესობა, რომელთა ნებითაც, თბილისში ისტორიული შენობის დარბაზების დემონტაჟი განხორციელდა, ქუთაისში პარლამენტის არსებობის როლსა და მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას. თუმცა, for.ge-ს ინფორმაციით, „ნაციონალური მოძრაობა“ უწყების რეგიონში დარჩენის საკითხს მხარს იმისდამიხედვით დაუჭერს, საპრეზიდენტო არჩევნებზე, ყოფილი სახელისუფლებო პარტია ქუთაისში თუ რა რაოდენობის ხმებს მიიღებს.

როგორც for.ge-ს ოპოზიციონერმა დეპუტატმა პავლე კუბლაშვილმა განუცხადა, თავის დროზე, უმცირესობას უთხრეს, რომ ამ საკითხის განხილვა ნოემბრამდე არ მოხდებოდა.

მისი თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ პოზიციის შეცვლას არ აპირებს და ფიქრობს, რომ ქუთაისში უწყების არსებობას რეგიონის განვითარებისთვის გადამწყვეტი როლი აქვს.

თუ როდის დაბრუნდება პარლამენტი თბილისში და თუ როდის დადგება კენჭისყრაზე შესაბამისი საკანონსტიტუციო ცვლილება, ამის შესახებ ინფორმაციას პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე არ ფლობს და აცხადებს, რომ შესაძლოა, ინიციატივა სექტემბერშიც არ იქნეს განხილული.

**„შესაძლოა, ამ საკითხის განხილვა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მოხდეს. ამ საკითხის დღის წესრიგში ჩასმაზე საუბარი არ არის და ახლა იმ საკითხებზე ვმსჯელობთ, რომელიც დროში უფრო საშურია. პარლამენტის ადგილსამყოფელზე სექტემბერში ვიმსჯელებთ თუ ოქტომბერში, ამას ვერ გეტყვით, რადგან ეს არ არის დაკავშირებლი მარტო ცვლილებასთან, არამედ კავშირშია დარბაზებთან, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ იქნა განადგურებული. როგორც ცნობილია, დარბაზების მოწყობას ხუთი თვე სჭირდება, თუმცა, რა თქმა უნდა, პარლამენტი თბილისში დაბრუნდება“,** — განუცხადა for.ge-ს კობახიძემ.

პარლამენტის ადგილსამყოფელის გარდა, უწყება საშემოდგომო სესიაზე კიდევ სამ საკონსტიტუციო ცვლილებაზე იმსჯელებს, რომელთაგან ორი, იმ კონსტიტუციურ ნორმებს ეხება, რომელიც 27 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ — ახლადარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან შედის ძალაში.

კერძოდ, ინიცირებული ერთ-ერთი პროექტით, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობის დაკავების შესაძლებლობა ეძლევათ, რადგან მომზადებული ცვლილებებით, კონსტიტუციიდან ამ ნორმის ამკრძალავი მუხლი ამოდის.

მეორე საკონსტიტუციო ცვლილების პროექტის ფარგლებში, მმართველი გუნდი პრემიერ-მინისტრისთვის იმ უფლებამოსილების ჩამორთმევას გეგმავს, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს, პარლამენტის მიერ კანონპროექტის მიღება მთავრობის ნდობის საკითხს „მიაბამს“. კიდევ ერთი საკონსტიტუციო ცვლილებებით, უმრავლესობა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის 3/4-იან კვორუმს აუქმებს, რომლის შესაბამისი მუხლიც ასევე საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ უნდა ამოქმედებულიყო.

პავლე კუბლაშვილის განმარტებით, უმცირესობა ორმაგ მოქალაქეობასა და კვორუმის დაწევას, მხარს არ დაუჭერს, რაც შეეხება მესამე ინიციტივას, მისი თქმით, აქ არის საკითხები, რომელთა მხარდაჭერაც შესაძლებელია.

**„ორმაგი მოქალაქეობის საკითხთან დაკავშირებით გეტყვით, რომ დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, როცა ქვეყნის ტერიტორიები ოკუპირებულია მეზობელი სახელმწიფოს მიერ, როცა პოლიტიკურ სპექტრში მუდმივად არის ოკუპანტ ქვეყანასთან გარკვეული კომუნიკაციის მცდელობა და რუსეთი მისთვის სასურველი დასაყრდენის პოვნას ცდილობს, ორმაგი მოქალაქეობა საქართველოს პოლიტიკური მომავლისა და ზოგადად, ქვეყნისთვის გარკვეულ საფრთხეს შეიცავს. მოქალაქეობა გულისხმობს კონკრეტული პირის დაკავშირებას რომელიმე ქვეყანასთან. ამ ცვლილებას მხარს არ დავუჭერთ“,** — აცხადებს კუბლაშვილი.

„კონსტიტუციური ცვლილებები მაღალი პოლიტიკური შეთანხმების საგანი უნდა იყოს. 3/4-იანი კვორუმის შემოღება ჩვენი გადაწყვეტილებაა და ამით ჩვენ საკუთარ თავსაც ვუყენებდით ვალდებულებას, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებზე სხვა პოლიტიკურ ძალებთან გვეთანამშრომლა. აუცილებელი არ არის პროცედურის გამარტივება და კვორუმის შემცირება. სამწუხაროა, რომ დღეს ამას მხარს უჭერენ პარტიები, რომლებიც მუდმივად გვაკრიტიკებდნენ, რომ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა მარტივად გვინდოდა და მხოლოდ ერთი სუბიექტი იღებდა გადაწყვეტილებას. თუკი ჩვენ საკონსტიტუციო კვორუმს შევამცირებთ, იმას მივიღებთ, რომ ცვლილებებს კონსტიტუციაში მხოლოდ კოალიცია „ქართული ოცნება“ განახორციელებს და მას კონსულტაციის ვალდებულება არც ერთ პოლიტიკურ გაერთიანებასთან არ ექნება, რასაც, მხარს არ დავუჭერთ“, — აღნიშნავს დეპუტატი, რომლის განცხადების საპასუხოდაც, კობახიძე მხოლოდ იმას ამბობს, რომ სექტემბრამდე დიდი დროა და არ არის გამორიცხული, ზოგმა დეპუტატმა ინდივიდუალური გადაწყვეტილება მიიღოს.

**თეონა მანაგაძე**

მიმართვა

# სამართლიანი გადაწყვეტილების იმედით

**საქართველოს პრემიერ-მინისტრს**
**ბატონ ბიძინა ივანიშვილს**
**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს**
**ბატონ დავით უსუფაშვილს**
**საქართველოს იუსტიციის მინისტრს**
**ქალბატონ თეა წულუკიანს**
**ასლი: საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს**
**ქალბატონ ეკა ბესელიას**
**საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარეს**
**ბატონ ზურაბ ტყემალაძეს**
**საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს**
**ბატონ დავით ონოფრიშვილს**
**საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარეს**
**ბატონ გიორგი თოფაძეს**

მიმდინარე წლის 12 ივნისს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატთა ჯგუფმა, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბატონ ბიძინა ივანიშვილისა და საქართველოს პარლამენტის სახელზე გამოგზავნილ წერილში, გამოხატა რა ახალი მთავრობის პოლიტიკური კურსისადმი სრული მხარდაჭერა და თანადგომა, ამავდროულად გამოთქვა თავისი გულისწყრომა იმ დისკრიმინაციულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელიც დღევანდელმა ხელისუფლებამ მათი წინამორბედებისაგან მიიღო. ამასთან, **გამოთქმული იყო თხოვნა, რომ სამართლიანობის აღდგენის მიზნით, საქართველოს პარლამენტს განეხილა და მიეღო გადაწყვეტილება საპენსიო უზრუნველყოფის საკითხში საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სხვადასხვა მოწვევის დეპუტატებისა და შემდგომი პერიოდის პარლამენტარებისთვის მდგომარეობის გათანაბრების შესახებ.**

როგორც თქვენთვის ცნობილია, **დღეისთვის, 1991-2012 წლებში არჩეულ ყველა — 1268 დეპუტატს, სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, დაენიშნება სპეციალური სადეპუტატო პენსია 560 ლარის ოდენობით. ეს ნორმა არ ვრცელდება საბჭოთა პერიოდის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხვადასხვა მოწვევის დეპუტატებზე, რომელთაც მეტი თუ არა, არანაკლები დამსახურება მიუძღვით ქვეყნისა და ხალხის წინაშე.**

დისკრიმინაციაზე რომ არაფერი ვთქვათ, ასეთი პრაქტიკა ცუდი შედეგის მომტანია ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდის თვალსაზრისით. საზოგადოების ჯანსაღი ნაწილისათვის მიუღებელია ადამიანების, მით უმეტეს დეპუტატების დაყოფა არა მათი დამსახურებების, არამედ ისტორიული პერიოდის მიხედვით.

წერილში დასმული იყო კონკრეტული კითხვა — **თუ 1990 წლის 28 ოქტომბერს (დამატებით 11 ნოემბერს) არჩეულ 246 დეპუტატს, რომელთა შორის 64 გასული იყო კომუნისტური პარტიის სიით და აქედან 30 ადრეც იყო არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ეკუთვნის პერსონალური, ე. წ. სადეპუტატო პენსია, რატომ არ ეკუთვნის იგივე პენსია 1985-1989 წლებში და უფრო ადრეულ პერიოდში არჩეულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს?** მით უმეტეს, რომ მათი გარკვეული ნაწილი, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, არჩეული იყო არა პარტიული ნიშნით, არამედ როგორც უპარტიო და საზოგადოების სხვადასხვა ფენის ღირსეული წარმომადგენელი.

სამწუხაროდ, ჩვენს ზემოთ აღნიშნულ წერილზე, მიუხედავად დადგენილი წესით გასული ყველა ვადისა, საქართველოს პარლამენტიდან პასუხი არ მიგვიღია. მთავრობის კანცელარიამ კი გვაცნობა, რომ იგი გადაეგზავნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საიდანაც შეგვატყობინეს საპენსიო უზრუნველყოფის არსებული წესი. **შეიძლება ითქვას, რომ დასმულ საკითხზე რეაგირება ფორმალიზმის კლასიკური ნიმუშია.**

ჩვენ ხომ პენსიას არ ვითხოვდით, თითოეული ჩვენგანი ისედაც იღებს კანონით გათვალისწინებულ პენსიას. **საქმე ეხება სამართლიანობის აღდგენას და კითხვაზე პასუხს, რა ნიშნით არის განსხვავებულ პირობებში ჩაყენებული ორ სხვადასხვა პერიოდში არჩეული სახალხო დეპუტატი? რა დააშავა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა იმ ნაწილმა, რომელიც კეთილსინდისიერად ემსახურებოდა თავის ქვეყანას და დღეს არსებული პენსიით უკიდურესად გაჭირვებულად, სიღატაკის ზღვარზე ცხოვრობს?** ბევრმა მათგანმა ვერ გაუძლო დროის ქარტეხილს და ნაადრევად გარდაიცვალა. მათ შორის, წერილზე ხელისმომწერი ორი ყოფილი დეპუტატი — საქენერგოს ყოფილი დირექტორი **იური ჭელია** და ცნობილი რეჟისორი **გიგა ლორთქიფანიძე.**

თუ ასე გაჭიანურდა საკითხის გადაწყვეტა, მათ ბედს გაიზიარებს ბევრი ჩვენგანი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ცოცხლად დარჩენილი ყოფილი დეპუტატების საშუალო ასაკი ხომ 75 წელზე მეტია. მათ შორის ყველაზე „ახალგაზრდა“ არის 55 წლის, ხოლო ყველაზე ჭარმაგი 93 წლის.

მთლიანად, **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თერთმეტივე მოწვევის (1938-1990 წწ.) 3998 დეპუტატიდან, დღეისთვის დარჩენილია მხოლოდ 841. დანარჩენი გარდაცვლილია ან გასულია საქართველოს იურისდიქციიდან (ყოფილი სამხედროები, მიგრანტები, ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილები და ა. შ.).** დაზუსტების შემთხვევაში, მათი რიცხვი ბევრად შემცირდება.

აქვე მოგახსენებთ, რომ **1991-2012 წლებში საქართველოს პარლამენტში არჩეული 1268 დეპუტატიდან 88 არის ყოფილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხვადასხვა მოწვევის დეპუტატი, რომლებზედაც ასევე ვრცელდება „სადეპუტატო“ პენსიის შეღავათები.**

გარდა ამისა, სადეპუტატო პენსიის მიმღებთა რიცხვი, ჩვენი მოსაზრებით, კიდევ უფრო შემცირდება, რადგან **1991-2012 წლებში საქართველოს პარლამენტში არჩეულ დეპუტატთა შორის, სამწუხაროდ, ძალზე ბევრია ისეთი, რომელთა მიმართ სხვადასხვა დანაშაულებრივი ქმედებებისთვის აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, ზოგიერთი კი მიმალვაშია და იძებნება, ე. წ. „წითელი ცირკულარით“.**

მოგმართავთ რა განმეორებით, იმედია გულისხმიერად განიხილავთ ჩვენს თხოვნას და მიიღებთ სამართლიან გადაწყვეტილებას.

ულრმესი პატივისცემითა და სამართლიანობის აღდგენის დიდი იმედით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხვადასხვა მოწვევის დეპუტატების სახელით,

**იოსებ ხაზარაძე,**
**სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ მე-10 და მე-11 მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს პროფსაბჭოს ყოფილი მდივანი, შრომის ვეტერანთა პარტიის გენერალური მდივანი, საქართველოს დამსახურებული გამომგონებელი, ღირსების ორდენის კავალერი.**

№150-151. პარასკევი, 9 აგვისტო, 2013 წელი.



# ჩვეულებრივი არაჩვეულებრივი ბაბუა

**„ადამიანის ტვინი თუ დაამინე, სიამოვნებით დაიძინებს“...**

***როგორი** იყო ჩვეულებრივი არაჩვეულებრივი ბაბუა – აკადემიკოსი **ილია ვეკუა** – დიდი მეცნიერი და დიდი ადამიანი.*

*ის, რომ ბატონი ილია იყო მსოფლიოში განთქმული მათემატიკოსი, რომლის გათვლების გამოყენებით შესაძლებელი გახდა გვირაბების, კაშხლების, თაღების, თვითმფრინავებისა და წყალქვეშა ნავების დაპროექტება-მშენებლობის საგრძნობლად გაუმჯობესება, ცნობილია. ისიც ცნობილია, რომ ბატონი ილია იყო ორი სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტის რექტორი (თბილისში და ნოვოსიბირსკში). იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დამაარსებელი და დირექტორი, მრავალი სახელმწიფო ჯილდოს მფლობელი და არაერთი უცხოური აკადემიის წევრი – ესეც მეტ-ნაკლებად ცნობილია... მაგრამ ის, თუ როგორი იყო ბატონი ილია საქმის მიღმა, ბევრმა არ იცის.*

*ჰოდა, მოდით, მის ორ შვილიშვილს, პროფესორებს მარინა ვეკუას და ილია თავხელიძეს მოვუსმინოთ.*

*მარინა და ილიკო (როგორც მას ბაბუა ეძახდა) – ხან სევდიანი თვალებით და ხანაც ბავშვური გულუბრყვილო სიცილით – ერთმანეთს მოყოლას არ აცლიდნენ. ჩვენი საუბარი თითქოს ფრაგმენტებისგან შედგებოდა. ჩემი წერილიც ასეთი გამოვიდა. საუბრის ბოლოსღა მივხვდი, რომ ყოველი ფრაგმენტი ნამდვილი გაკვეთილი იყო.*

## გაკვეთილი 1 – მარინა ვეკუა
**1965 წელი, ციმბირი, აკადემქალაქი**

**ლამაზი** კოტეჯი, ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლი... ველოდები ინგლისური ენის მასწავლებელს. პირველი გაკვეთილი უნდა დაიწყოს. მასწავლებელს არ ვიცნობ, არ მინახავს, მაგრამ ვიცი, რომ მამაკაცია, დედა ინგლისელი ჰყავს, სახელად ჰქვია ტანკრეტი. მოულოდნელად ოთახში შემოდის ბაბუა, ხელში უკავია ინგლისური წიგნები. ვხვდები, რომ ჩემთვის არ არის განკუთვნილი. მე შემპირდნენ, თამაშით ისწავლიო. დიახ, მართლაც თამაშით დავიწყე სწავლა, აი, ბაბუამ კი ინგლისელ ტანკრეტთან ყოველდღიური მეცადინეობა დაიწყო, როგორც ბეჯითმა მოსწავლემ და ეს სწავლა გაგრძელდა დიდხანს. მოგვიანებით, ბევრჯერ მინახავს, როგორ სწავლობდა უცხო სიტყვებს ბაბუა მოხსენების თუ სტატიის ინგლისურად მომზადების დროს, როგორ თარგმნიდა და ვარჯიშობდა გამოთქმაში. მან შესანიშნავად ისწავლა ინგლისური (სრულყოფილად იცოდა რუსული). ეს იყო იმის მაგალითი, თუ რას ნიშნავს მიზანდასახულობა, საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება, სირთულეების დაძლევა. სხვათა შორის, მან მანქანის ტარება ისწავლა ყინულზე, დიახ, ნაღდ ყინულზე – მაშინ ციმბირში ვცხოვრობდით.

## გაკვეთილი 2 – ილია თავხელიძე
**1976 წლი, მოსკოვი**

**ჩემთვის** ერთ-ერთი გამორჩეული, ორმაგად ამაღელვებელი დღე – პირველად უნდა წარვადგინო მოხსენება საერთაშორისო კონგრესზე – ეს ერთი. დილის სესიაზე ბაბუა კითხულობს მოხსენებას, საღამოს სესიაზე კი მე – ესეც ორი. სესიებს შორის შესვენება სამი საათია. ბაბუამ მთხოვა, ჩემი მოხსენება მეჩვენებინა. ცოტა ხნის შემდეგ მიხმო. მისი გამომეტყველება ზომაზე მეტად სერიოზული იყო, ცოტა გაბრაზებულიც. „შენ ამ მოხსენებას არ წაიკითხავ, აქ შეცდომაა!“ – მითხრა მან. გამოსვლამდე ორი საათი მრჩებოდა. თავზარდაცემულმა დავიწყე ყურადღებით კითხვა, რათა მეპოვნა შეცდომა, ბაბუამ ხომ არც მიმანიშნა. მესამედ წაკითხვისას ვიპოვე – მაკლდა ერთი სიტყვა – „ზოგიერთი“, რაც მართლაც ცვლიდა მთელი დებულების არსს. მივირბინე ბაბუასთან და ვახარე, რომ შეცდომა ნაპოვნია და მე წავიკითხავდი მოსხენებას. ბაბუამ მაშინ მითხრა: „მეცნიერება – დაუნდობელი და კონკურენციით აღსავსე სფეროა. ახალბედა მეცნიერს არასდროს აპატიებენ შეცდომას, დიდ მეცნიერს კი შეცდომას, უბრალოდ, უყურადღებობაში ჩაუთვლიან“.

ეს აღმოჩნდა ჩემთვის გაკვეთილი იმისა, თუ რას ნიშნავს პასუხისმგებლობა. ბაბუას პრინციპულობის გარეშე, ჩემი მეცნიერული სტარტი, შესაძლოა, ფიასკოთი დასრულებულიყო.

## გაკვეთილი 3 – მარინა ვეკუა
**1963 წელი, ნიუ-იორკი, კენედის აეროპორტი**

**თვითმფრინავის** სალონში სხედან ბატონი ილია და მისი მეუღლე, ქალბატონი თამარი. ცოტა ხანში თვითმფრინავი გეზს მოსკოვისკენ აიღებს. აფრენამდე რამდენიმე წუთით ადრე, სტიუარდესა მოულოდნელად აცხადებს: „მადამ ვეკუა, მადამ ვეკუა“. ბებია ძალიან აღელდა, წამოდგა, – „ილია, რა მოხდა, რაშია საქმე?“ ბაბუამ თავი მოიკატუნა, თითქოს არაფერი იცოდა, თვალები კი ბავშვურად უცინოდა. ამ დროს, სტიუარდესამ ბებიას ლამაზად შეფუთული დიდი კოლოფი გადასცა, რომელსაც დაკრული ჰქონდა პატარა ბარათი: **„ქ-ნ თამარ ვეკუას, ილია ვეკუასგან, V ავენიუ, ნიუ-იორკი“**. კოლოფში იდო მეუღლისთვის მომზადებული სიურპრიზი – წავის მოსასხამი. მთელი თვითმფრინავის მგზავრები უცქერდნენ ამ ლამაზ წყვილს და იმდროინდელი სინამდვილისთვის უჩვეულო სცენას. ოდესღაც პატარა, შეშელეთელ ბიჭს ასე გალანტურად შეეძლო გამოეხატა დიდი სიყვარული და თაყვანისცემა. ბაბუა ნამდვილი ესთეტი იყო. სილამაზის ფასი იცოდა. ბებო მართლაც ძალიან ლამაზი იყო, თურმე ახალგაზრდობაში „შავ ბრილიანტს“ ეძახდნენ.

## გაკვეთილი 4 – ილია თავხელიძე
**1972 წელი, მოსკოვი**

**ლომონოსოვის** სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალგაზრდა აკადემიკოსს სერგეი ნოვიკოვს, დიფერენციალურ გეომეტრიაში გამოცდა უნდა ჩავაბარო. პროგრამაში 96 საკითხი იყო. 66 კარგად ვიცოდი, დანარჩენი ბაბუას უნდა აეხსნა (ამის იმედი მქონდა იმ საღამოს, გამოცდის წინ).

ბაბუა სასტუმროში იყო. მივედი და საკითხების გარჩევა დავიწყეთ, მაგრამ არ დაგვცალდა – ბაბუასთან და მის კოლეგებთან ერთად რესტორანში აღმოვჩნდი. ვახშმის ბოლოს ავღელდი, მივხვდი, ვერაფერს ვასწრებდი. ბაბუამ გადმომხედა და მითხრა: **„შენ თუ მართლაც იცი ის 66 საკითხი, დანარჩენსაც ამოხსნი. მთავარია, არ აჩქარდე და დაუკვირდი, რას გეუბნება მოცემულობა, მერე ჩაწვდი შეკითხვის არსს და გაიგე, რას გეკითხება ამოცანა“.**

ბაბუა მართალი აღმოჩნდა. გამოცდა წარმატებით ჩავაბარე. მას შემდეგ, მნიშვნელოვანი ამოცანის ამოხსნის დროს, არასდროს მიჩქარია – არც საქმეში და არც ცხოვრებაში. ვცდილობ, ყველა მოცემული პირობა და შესაძლებელი რისკები წინასწარ გავაანალიზო. აქამდე მიმართლებს.

## გაკვეთილი 5 – მარინა ვეკუა
**2007 წელი, თბილისი**

**ილია ვეკუას** 100 წლის თარიღთან დაკავშირებული დღეები... ერთმა ნაცნობმა მკითხა: **„თქვენ ხომ იცით იმ ადამიანების გვარები, ვის გამოც ბატონმა ილიამ იძულებით დატოვა საქართველო? რატომ არ დაწერთ სიმართლეს?“** იმიტომ, რომ ბაბუამ გვასწავლა ცხოვრება ისე, რომ შეძლო აპატიო ადამიანებს ულირსი საქციელი, აპატიო და არასდროს უპასუხო იგივეთი. დიახ, მან თავად აპატია ყველას ყველაფერი. მეტიც, წლების შემდეგ, საქართველოში დაბრუნებულმა, უკვე აღიარებულმა დიდმა მეცნიერმა, ყველას შეუწყო ხელი პროფესიულ წინსვლაში. ჩვენს ოჯახში კი არასდროს ყოფილა ამ მძიმე თემაზე რაიმე სახით მსჯელობა და ვინმეს განსჯა.

ადამიანი კვალს საქმით ტოვებს. ეს გახდა ჩვენთვის – შვილიშვილებისთვის, მთავარი კრედო.

## გაკვეთილი 6 – ილია თავხელიძე
**1968 წლიდან თითქმის ყოველი კვირა დღე**

**ეს** ის დღეები იყო, როდესაც მთელი ჩვენი ოჯახი, განსაკუთრებით შვილიშვილები და ბაბუას მეგობრები (ასევე ოჯახებთან ერთად) – ირაკლი აბაშიძე, შოთა ძიძიგური, ბენო ბალავაძე და სხვები – ქალაქგარეთ მივდიოდით. ძირითადად, ეს იყო ეკლესიები, ისტორიული ადგილები. ბაბუას ძალიან უყვარდა და კარგად იცოდა საქართველოს ისტორია, გატაცებით გვიყვებოდა იმ ადგილების შესახებ, სადაც მივდიოდით ხოლმე. ასეთი „გასეირნებებით“ მართლაც გვაზიარა იმ სიწმინდეებსა და სიმდიდრეს, რაზედაც დგას ჩვენი ეროვნული ფასეულობები და ზოგადად – საკაცობრიო ღირებულებები, რაც ნამდვილად ურყევი საფუძველია ჭეშმარიტი ქრისტიანისთვის.

## გაკვეთილი 7 – მარინა ვეკუა
**1968 წელი, თბილისი**

**უნივერსიტეტი** დაარსებიდან 50 წლისთავს ზეიმობს. ჯავახიშვილის სახელობის დარბაზში საიუბილეო სხდომა ტარდება. ბაბუა, როგორც რექტორი, დამსწრე საზოგადოებას მიმართავს. სიტყვის ბოლოს, იუბილე მიულოცა უნივერსიტეტის თანამშრომლებს, კოლეგებს. დამლაგებლებს სახელებითა და გვარებით მიმართა და მადლობა გადაუხადა (შემდგომში ამ ქალბატონებმა გულით დაიტირეს ბაბუა და ეს ნიუანსიც გაიხსენეს).

ბაბუა ადამიანებს სოციალური მდგომარეობით არასდროს არჩევდა. დილა იწყებოდა იმით, რომ ხელს ჩამოართმევდა მოსამსახურეს, მძღოლს, გულწრფელად მოიკითხავდა მათ ოჯახებს. ძალზე თავმდაბალი და უშუალო იყო. ეს კი ნამდვილად მაღალი კულტურის მქონე ადამიანს თუ შეუძლია.

## გაკვეთილი 8 – ილია თავხელიძე
**1967 წელი, ნოვოსიბირსკი, აკადემქალაქი**

**ზაფხულის** მშვიდი, მზიანი დღე იყო. ბაბუამ საბანაოდ წაგვიყვანა ობის წყალსაცავზე, ფაქტობრივად, ზღვაზე. შუა ჭყუმპალაობის დროს, წყლიდან რაღაც ცეცხლწაკიდებული საგანი ამოვარდა, დიდ სიმაღლეზე აფრინდა და ცაში გაქრა. ხალხი პანიკამ მოიცვა. ყველა სასწრაფოდ აიკრიფა, ჩაცვივდნენ მანქანებში და იქაურობა დატოვეს. ჩვენც წამოვედით. საღამოთი ყველა ე. წ. მეცნიერთა სახლში შეიკრიბა. აქ მეცნიერები და მათი ოჯახების წევრები ატარებდნენ თავისუფალ დროს. იმ საღამოს ყველა აღელვებული იყო. უეცრად შემოდის აკადემიკოსი ლავრენტიევი და სიცილით მიმართავს საზოგადოებას: „რა, ძალიან შეგაშინეთ?“ თურმე, მან ჩაატარა სრულიად უვნებელი ცდა – როგორ გადაიტანდა აფეთქებით საგანს ერთი ადგილიდან მეორეზე. ის საგანი კი ნავთით სავსე ავზი იყო და ნავთმა დაიწყო წვა! ლავრენტიევს მოყვა ორი ასპირანტი – ექსპერიმენტის ავტორები. ზოგადად, ეს არ იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ასპირანტები და სტუდენტებიც კი სწავლულებთან ერთად მონაწილეობდნენ სამეცნიერო კვლევებში და ცდებში. ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტი, რომლის დამაარსებელი და პირველი რექტორი ბაბუა იყო, ყოველთვის მჭიდროდ თანამშრომლობდა იქ ახლადდაარსებულ კვლევით ინსტიტუტებთან. ბაბუა ამ პროცესის მოთავე იყო. ამგვარი ინტეგრაციის მცდელობა მან თბილისშიც გააგრძელა. სწორედ მისი რექტორობის დროს შემუშავდა და დაიწყო უნივერსიტეტის ე. წ. კამპუსის: ერთიანი სასწავლო, კვლევითი და საცხოვრებელი სისტემის დაპროექტება და მშენებლობა. საბჭოთა პერიოდში, ეს უნივერსიტეტის განვითარების ძალზე თამამი ხედვა და გეგმა იყო. სწორედ იმ დროს დაარსდა უნივერსიტეტთან არსებული კვლევითი (გამოყენებითი მათემატიკის) ინსტიტუტი, სადაც სტუდენტი და პროფესორი ერთად „იპყრობდნენ“ მეცნიერების მწვერვალებს. ბაბუამ გვასწავლა, რომ სიახლეები უნდა შევაფასოთ ოპტიმისტურად, დინჯად, დაფიქრებულად და თამამად.

## გაკვეთილი 9 – მარინა ვეკუა
**1972 წელი, თბილისი**

**ჩვენს** ლამაზ მისაღებ ოთახში როიალთან ვზივარ და ვმეცადინეობ – ბახის კონცერტს ვსწავლობ. რომ დავასრულე, აპლოდისმენტები გავიგონე. თურმე, ბაბუა ზურგს უკან იდგა, მისმენდა და, ალბათ, მოეწონა კიდეც ჩემი დაკრული. მახსოვს მისი რეპლიკა: **„თამარ (ბებიას მიმართა), ვერ გამიგია, რითი უკრავს ეს ბავშვი რიხტერზე უარესად“.** მანაც და მეც ძალიან კარგად ვიცოდით, რით უკრავდა რიხტერი ჩემზე კარგად, მაგრამ ისიც იცოდა, რომ მალე კონცერტი მქონდა და ასე წამახალისა. საერთოდ, სხვის შრომას ძალიან დიდ პატივს სცემდა, რითაც, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, საქმის კეთების დიდ სტიმულს აძლევდა.

## გაკვეთილი 10 – მარინა ვეკუა
**1979 წელი, თბილისი**

**ბაბუა** იაპონიიდან ბრუნდება. რაღა თქმა უნდა, ბევრი საჩუქრით (თავისთვის ჩამოჰქონდა მხოლოდ „იარაღი“ – „პარკერის“ კალმები). ამჯერად, დიდი ყუთი ჩამოიტანა – ეს აღმოჩნდა ბოლო თაობის ფირფიტების დასაკრავი „პიონერი“. ზედ მოაყოლა ფირფიტა თავისი საყვარელი კომპოზიტორის ბოროდინის და მისთვის უსაყვარლესი შალიაპინის ჩანაწერებით. საერთოდ, მას ძალზე მრავალი ინტერესი ჰქონდა: ნადირობა, ლიტერატურა, ისტორია, ფოტოგრაფია, კლასიკური მუსიკა, ხალხური მუსიკა (ძალიან უყვარდა ოთარ თაქთაქიშვილის მეგრული სიმღერების ციკლი ზურაბ სოტკილავას შესრულებით); აკვირდებოდა ქართული და იაპონური გვარების ვერბალურ მსგავსებას.

ალბათ, ამიტომაც, ჩვენში ბევრმა სხვადასხვა ინტერესმა იჩინა თავი. ცოტა მოზრდილებმა კი გავაცნობიერეთ, რომ მხოლოდ ერთ ვიწრო გარემოში ჩაკეტილი ადამიანი მოსაწყენია. ვფიქრობ, სწორედ აქ არის, მაგალითად, ილიკოს ანტიკური ფილოსოფიით და ისტორიით გატაცების სათავე, ასევე ჩემი, როგორც ჟურნალისტის არჩევანიც და ბევრი სხვა.

## გაკვეთილი 11 – ილია თავხელიძე
**1975 წელი, მალთაყვა**

**დატვირთული,** საქმიანი დღის შემდეგ, საღამოს, ზღვის პირას, პატარა სახლის აივანზე, ვიწრო წრეში ვახშამი გაიმართა. შესანიშნავი პეიზაჟი, მშვიდი გარემო, გემრიელი პურმარილი, მელოდიური ხალხური სიმღერები. ნელ-ნელა სტუმრებიც დაიშალნენ. ვერ შევამჩნიე ბაბუას გასვლა, მაგრამ ზუსტად მახსოვს მისი დაბრუნება. მან შხაპი მიიღო და სამუშაოდ მოემზადა – უჯრედებიანი „სქელი“ რვეული და „პარკერი“ დაიკავა ხელში. ბაბუა, ძირითადად, ღამის საათებში მუშაობდა. ეძინა ძალიან ცოტა. მის ლექსიკონში (და შესაბამისად ჩვენშიც) არ არსებობდა „დავიღალე“. მასპინძლებმა გაკვირვება ვერ დამალეს. მან კი გაღიმებულმა გვითხრა: **ადამიანის ტვინი თუ დააძინე, სიამოვნებით დაიძინებსო.** მაშინ სამუდამოდ გავაცნობიერე, რომ მუდმივი შრომა, დაუღალავი შრომა, მიზანდასახული შრომა ყველა წარმატების საწინდარია.

* * *

**აქ წყდება, მაგრამ არ სრულდება ჩვეულებრივი არაჩვეულებრივი ბაბუის გაკვეთილები, რომლებმაც ღრმა შთაბეჭდილება და დიდი გავლენა მოახდინეს ჩემს რესპონდენტებზე. დარწმუნებული ვარ, არამარტო მათზე...**

**ნუგზარ ფოფხაძე**

№150-151. პარასკევი, 9 აგვისტო, 2013 წელი.

სწორედ ესაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ასე ბევრია მდიდარი და ცნობილი ადამიანი – ხალხი, ვისაც აქვს ყველაფერი, რაც კი შეიძლება წარმოიდგინო, – და „ახერხებენ“ ჩავარდნენ დეპრესიაში და ხდებიან ნარკომანები ან ალკოჰოლიკები. იმის ნაცვლად, რომ იფიქრონ ყოველივე იმის შესახებ, რაც აქვთ, ისინი ყურადებას ამახვილებენ იმაზე, რაც არ გააჩნიათ, ამიტომ „ხედავენ“ მხოლოდ იმას, რაც არ ჰყოფნით. ასე აქცევენ ისინი თავიანთ თავს უბედურებად.

მეორე მხრივ, ბევრი ადამიანი, ვინც თავმდაბლად და გონივრული ცხოვრების წესს მისდევს, ნამდვილად ბედნიერია, ვინაიდან ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რაც აქვთ. აი, რატომაა, რომ ადამიანი, ვინც თავის ჭიქას ნახევრად სავსედ მიიჩნევს, უფრო ბედნიერია, ვიდრე ის, ვისაც იგი ნახევრად ცარიელად მიაჩნია.

გესმით, საყოველთაო წარმოდგენის მიუხედავად, ყოველივე გარეგანს – ფულს, მანქანებს, დიდებასა და წარმატებას – არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ბედნიერებას განსაზღვრავს მხოლოდ ჩვენი დამოკიდებულება საკუთარი ცხოვრებისადმი. ამიტომ იმისთვის, რომ განვიცადოთ ბედნიერება, სულაც არაა საჭირო გქონდეს ბევრი ფული, უზარმაზარი სახლი ან უკეთესი სამსახური; ყველაფრის მიმართ, რაც აუცილებელია, უნდა შევცვალოთ ჩვენი დამოკიდებულება, – სწორედ ამან აიძულა სამუელ ჯონსონი დაეწერა:

*„კმაყოფილების წყარო გონებაში უნდა იყოს; და ის, ვისაც იმდენად ნაკლები ცოდნა აქვს ადამიანის ბუნების შესახებ, რომ ისწრაფვის ბედნიერებისკენ, ცდილობს, შეცვალოს ყველაფერი, საკუთარი ხასიათის გარდა, მხოლოდ გაფლანგავს თავის ცხოვრებას უაზრო მცდელობებში და გაამრავლებს იმ მწუხარებას, რისგან თავის დახსნაც სურს“.*

– არასოდეს მიფიქრია ამაზე ასეთი თვალსაზრისით, – აღიარა ახალგაზრდამ, – მაგრამ, ვფიქრობ, ამას აქვს აზრი.

– ხომ საინტერესოა, არა? ამას გარდა, დაფიქრდით, თუ რა მოხდება ყველაზე ადრე, თუ იწყებთ რაღაცის კეთებას და ელოდებით უარესს, – დაუმატა მისტერ კესტერმანმა.

– რა გაქვთ მხედველობაში? – შეეკითხა ახალგაზრდა.

– აი, ვთქვათ, უნდა გამოხვიდეთ ასობით მსმენელის წინაშე. ალბათ, აუცილებლად ინერვიულებთ და იფიქრებთ ყველაზე საშინელ რამეზე, რაც შეიძლება მოხდეს. მაგალითად, შეიძლება დაგავიწყდეთ ის, რის თქმასაც აპირებდით, დაგებმებათ ენა და აზრები და, ბოლოს და ბოლოს, თავს წარმოაჩენთ სრულ იდიოტად მთელი ამ ხალხის წინაშე. თუ ასე აზროვნებთ, მოგამზადებთ განა ეს გამოსვლისთვის ან გამოგაფხიზლებთ? განა გაზრდის ეს თქვენს რწმენას საკუთარი თავისადმი? უფრო მეტად აღელდებით.

– დიახ, მე ნამდვილად უფრო მეტად დავიწყებდი ნერვიულობას, – აღიარა ახალგაზრდამ.

– რა თქმა უნდა, ან სხვა ვინ იგრძნობდა თავს უკეთესად? მაგრამ ეს პრინციპი შეიძლება გამოიყენო ყველაფერთან დაკავშირებით ცხოვრებაში. თქვენი აზრით, ვინ გადმოხტება დილით ლოგინიდან ახალ დღესთან შეხვედრის დიდი მოლოდინით – ის, ვინც მომავალი დღისგან ყველაზე უარესს ელოდება, თუ ის, ვინც ფანტასტიური დღით წინასწარ ტკბება? და, თქვენი აზრით, რომელი მათგანი დატკბება იმ დღით?

– მესმის თქვენი, მაგრამ რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მოვლენები ვერ გაამართლებენ ჩვენს მოლოდინს? რა მოხდება, თუკი მოხდება რაიმე ცუდი?

– გაიხსენეთ ოქროს წესი: შენ თვითონ ირჩევ, თუ როგორ იგრძნობ თავს! ნებისმიერ სიტუაციაში შეგიძლიათ გამოძებნოთ როგორც ყავისფერი, ისე ცისფერი. თქვენ შეგიძლიათ ყურადღება გაამახვილოთ სიტუაციის დადებით მხარეებზე და არა იმაზე, რაც ცუდად შეიძლება მოგეჩვენოს.

– მაგრამ რა მოხდება, თუ სიტუაციაში საერთოდ არაფერია კარგი?

– რასაკვირველია, როდესაც ტრაგედიებს გადავეყრებით, გვიჭირს, შევიცნოთ მათში დადებითი მარცვლები. მაგრამ ერთ-ერთი ხერხი – გავუძლოთ ტრაგედიას – არის ის, რომ მონახო საკუთარ ჭირში რაღაც დადებითი, რაიმე მნიშვნელოვანი. ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტრაგედიაა მშობლების მიერ ბავშვის გულსაკლავი დაკარგვა, და მრავალ ასეთ შემთხვევაში ერთადერთი საშუალება, რამაც შეიძლება ტანჯვა გადაგვატანინოს, არის უნარი – შევქმნათ რაიმე დადებითი.

მაგალითად, ერთი ახალგაზრდა დედა კალიფორნიიდან სასოწარკვეთილებაში იყო თავისი ცამეტი წლის ქალიშვილის დაკარგვის გამო, რომელიც გზაზე მთვრალმა მძღოლმა გაიტანა. როდესაც დედამ გაიგო, რომ ამ მძღოლს სხვაც უამრავი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი მთვრალ მდგომარეობაში ავტომობილის მართვის დროს,და რომ კანონს არ შეუძლია დაიცვას ადამიანები ამ დამნაშავისა და სხვა მისი მსგავსი ტიპებისგან, მან წამოიწყო ზოგადეროვნული კამპანია, რომ წერტილი დასმოდა ასეთ რამეს. მოძრაობას **„დედები ლოთი მძღოლების წინააღმდეგ“** – წარმატებით უწევდა ლობირებას კონგრესი და მიაღწიეს, რომ მიეღოთ 950-ზე მეტი დადგენილება, რომლებიც სჯიდნენ ავტომობილის მართვას არაფხიზელ მდგომარეობაში. ძალიან მალე ეს კამპანია გავრცელდა კანადაზე, დიდ ბრიტანეთზე და ახალ ზელანდიაზე, და შედეგად ათასობით ადამიანი გადარჩა. და ეს ყველაფერი დაიწყო იმიტომ, რომ ერთმა ქალმა გადაწყვიტა ექცია ეს თავისი უბედურება და თავისი დანაკარგი რაღაც დადებითად.

ცხოვრებაში არ არსებობს არც ერთი განცდა, რომელსაც არ შეიძლება რაიმე საჩუქარი არ მოჰქონდეს – რაიმე ისეთი, რაც გამოგვადგებოდა ცხოვრებაში ჩვენ და ჩვენს გარშემო არსებულ ადამიანებს. ჩვენ მხოლოდ უნდა ავირჩიოთ, მოვძებნოთ ეს საჩუქარი. მაგალითად, მრავალი წლის წინათ, როდესაც მოხუც ჩინელს შევხვდი, დავკარგე სამუშაო და სულ ჩემს წარუმატებლობაზე ვფიქრობდი და იმაზე, რომ ველარასოდეს ვიშოვიდი სამუშაოს. მაგრამ იმ დღეს მოხუცთან ხანგრძლივი საუბრის შემდეგ მივხვდი, რომ ჩემი სამუშაოს დაკარგვაში შეიძლება იყოს რაიმე დადებითიც.

– როგორ შეიძლება სამუშაოს დაკარგვა რაღაცით კარგი? – შეეკითხა ახალგაზრდა.

– ჯერ ერთი, გამიჩნდა შესაძლებლობა დავიწყო ახალი კარიერა – გავაკეთო რაიმე ისეთი, რისიც ნამდვილად მჯეროდა, – თქვა მისტერ კესტერმანმა. – ასე, იმის ნაცვლად, რომ დავრჩენილიყავი დათრგუნვილ ვითარებაში სამუშაოს დაკარგვის გამო, ვიგრძენი აღგზნება, აღტაცება და ოპტიმიზმი. თუ გინდათ მართლა ჩაიწეროთ რამე ჩვენი საუბრიდან, დაიმახსოვრეთ აი რა:




> ჩვენი გრძნობები ცხოვრების მოვლენებთან დაკავშირებით განისაზღვრება იმ შინაარსით, რასაც ჩვენ მათთან ვაკავშირებთ და არა თავად ვითარებებთან.

– როდესაც საკუთარი სიტუაციისადმი ასეთი დამოკიდებულება გამიჩნდა, სამუშაოს დაკარგვა ახალ დასაწყისად იქცა, ჩემი ცხოვრების გარდამტეხ მომენტად. როდესაც ვცდილობდი, ვყოფილიყავი მხოლოდ საკუთარი თავის წინაშე, საკუთარ თავს გამოვუტყდი, რომ მთლიანად არასოდეს ვყოფილვარ აღტაცებული ჩემი წინა სამსახურით – ჩემთვის იგი იყო უბრალოდ ფულის გამომუშავების საშუალება. მაგრამ ახლა მე მქონდა შესაძლებლობა დავფიქრებულიყავი იმაზე, თუ მართლა რა მინდა საკუთარი ცხოვრებისგან. მინდოდა, შემეტანა რაიმე ცვლილებები, მომეხდინა გავლენა – დადებითი გავლენა – და შემეტანა რეალური წვლილი საზოგადოების ცხოვრებაში. გადავწყვიტე, რომ სინამდვილეში მინდა ვიყო მასწავლებელი, და ბევრი დრო არ დამჭირვებია, რათა დამეწყო მუშაობა კოლეჯში.

– ნება მომეცით მოგიყვანოთ კიდევ ერთი კარგი მაგალითი, – განაგრძო მისტერ კესტერმანმა. – წარმოიდგინეთ, რომ დაშორდით თქვენს მეგობარ ქალს. შეგიძლიათ, მიხვიდეთ დასკვნამდე, თითქოს არ შეგიძლიათ, მონახოთ სხვა მეგობარი. შეიძლება ივარაუდოთ კიდეც, რომ მონახოთ ვინმე, თქვენი ურთიერთობანი მაინც, სულერთია, არ იქნება ხანგრძლივი. მეორე მხრივ, თქვენ შეგიძლიათ, შეხედოთ სიტუაციას სრულიად სხვა თვალსაზრისით და გადაწყვიტოთ, რომ მეგობარ ქალთან განშორება თქვენთვის ნიშნავს შესაძლებლობას, მონახოთ თქვენთვის უფრო შესაფერისი ვინმე. როგორც ხედავთ, ყველაფერი მხოლოდ ჩვენს დამოკიდებულებას ემყარება.

თქვენ შეგიძლიათ, შეცვალოთ თვალსაზრისი საკუთრად თქვენი ცხოვრების დიდ ნაწილზე და გამოიტანო აქედან დადებითი აზრი. დედამიწის ზოგიერთ ნაწილში სიკვდილიც კი სადღესასწაულო მოვლენად ითვლება, ვინაიდან იქ მცხოვრებ ხალხებს სჯერათ, რომ, როდესაც ადამიანი კვდება, მისი სული ბრუნდება საკუთარ მშობლიურ სახლში და ყველა ადამიანი, ადრე თუ გვიან, სხვა დროში და სხვა ადგილას ხვდება მას, ვინც უყვარს.

– და მაინც, დაინახო სიტუაციის დადებითი მხარეები ყოველთვის როდია იოლი, – შეედავა ახალგაზრდა.

– მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ არ ეძებთ! თუ არ შეგიძლიათ, დაინახოთ რაიმე დადებითი, ჩვეულებრივად ეს ნიშნავს, რომ თქვენ უბრალოდ ნამდვილად არ ეძებთ. ამას გარდა, ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია გამოვიწვიოთ ჩვენში დადებითი დამოკიდებულება პოზიტიური შეკითხვების დახმარებით. იმის მაგივრად, რომ თავს ვიწამებდეთ შეკითხვით: „რატომ მაინცდამაინც მე მომივიდა ეს?“ თქვენ შეგიძლიათ, იკითხოთ: „რა უნდა ვისწავლო, რა სარგებელი შემიძლია გამოვიტანო ამ გამოცდილებიდან?“

– არ ვარ დარწმუნებული, რომ მესმოდეს, რასაც თქვენ ლაპარაკობთ, – თქვა ახალგაზრდამ.

– მთელი დღე განუწყვეტლივ ვეკითხებით ჩვენს თავს, – განუმარტა მისტერ კესტერმანმა, – იმის შესახებ, თუ რას ვხედავთ, გვესმის და რას ვიყნოსავთ, იმის შესახებ, თუ რა უნდა გავაკეთოთ, რომ ჩვენ უკვე გავაკეთეთ ან ვაკეთებთ პირდაპირ ახლა. იმ წუთიდან, როდესაც დილით ვიღვიძებთ, და იმ წუთამდე, როდესაც დასაძინებლად მივდივართ, ჩვენი ქვეცნობიერება განუწყვეტლივ გვისვამს შეკითხვებს. სინამდვილეში აზროვნების პროცესი არის სხვა არაფერი, თუ არა შეკითხვების თანმიმდევრობა. შეკითხვებს მივყავართ პასუხებთან, პასუხები კი გრძნობებს იწვევენ. ამრიგად, თუ თავს უბედურად მიიჩნევთ ან დათრგუნვილად, ეს უმეტეს შემთხვევაში ნიშნავს, რომ თავს უსვამთ არასწორ შეკითხვებს. თქვენ თქვენს თავს ეკითხებით იმის შესახებ, თუ რა არ არის თქვენ ცხოვრებაში როგორც საჭიროა, – იმის ნაცვლად, რომ შეეკითხო შენ თავს, თუ რა არ არის მასში სწორი.

როდესაც მძიმე სიტუაციას გადაეყრება, ადამიანთა უმრავლესობა ეკითხება თავის თავს: „რატომ დამემართა ეს მე?“ ან „ახლა რაღა უნდა ვქნა?“ ესაა ნეგატიური, დამასუსტებელი შეკითხვები, და მათ მივყავართ ნეგატიურ, დამასუსტებელ პასუხებთან და ეს იწვევს საკუთარი თავისადმი საცოდაობის, უიმედობისა და დამთრგუნველ გრძნობას. თუ დავიწყებთ დადებითი, ძალის მომცემი შეკითხვების მიცემას, შევძლებთ, გამოვიმუშაოთ საკუთარ თავში სრულიად სხვა გრძნობები.

– მაშ რომელი შეკითხვებია ძალის მომცემი? – შეეკითხა ახალგაზრდა.

– ისინი, რომლებიც იწვევენ ძალისა და იმედის შეგრძნებას. მაგალითად, როდესაც მე თავად მძიმე სიტუაციაში აღმოვჩნდები ხოლმე, შეგნებულად ვუსვამ ჩემ თავს სამ ძლევამოსილ შეკითხვას, რომლებიც უმალვე ცვლიან სიტუაციაზე ჩემ თვალსაზრისს.

**– პირველი შეკითხვა: „რა არის ამ სიტუაციაში შესანიშნავი?“**

– მაგრამ თუ მასში არაფერია შესანიშნავი? – შეაწყვეტინა ახალგაზრდამ.

– მაშინ ჰკითხეთ თქვენ თავს: **„რა შეიძლებოდა ყოფილიყო მასში შესანიშნავი?“** გესმით, ეს შეკითხვა გაიძულებთ, ეძებოთ სიტუაციაში რაღაც შესანიშნავი, და აუცილებლად იპოვით ამას, ზუსტად ისევე, როგორც ცისფერის შეგნებული ძებნისას დაიწყეთ მხოლოდ მისი თვალიერება ამ ოთახში.

სწორედ ეს აქვთ ხოლმე მხედველობაში, როდესაც ამბობენ, რომ ნებისმიერ სიტუაციაში არის რაღაც კარგი, ხოლო თითოეული პრობლემა – ეს შენიღბული ძღვენია. შეიძლება შეცვალო ნებისმიერი თვალსაზრისი, და ამის წყალობით თქვენ შეგიძლიათ მიაღწიოთ იმას, რომ ნებისმიერი განცდა გაამდიდრებს თქვენს ცხოვრებას – ამაშია სწორედ ჭეშმარიტი ბედნიერების პირველი მუღამი.

მოხუცმა ჩინელმა მომცა ადამიანების სია და ყველა მათგანი მასწავლიდა ჭეშმარიტი ბედნიერების მუღამს. ბევრმა მათგანმა სერიოზული კრიზისი გადაიტანა თავის ცხოვრებაში, და დაძლიეს ასეთი უსიამოვნებანი, ვინაიდან ისწავლეს, შეეცვალათ თავიანთი შეხედულებანი ნებისმიერ სიტუაციაზე და მოენახათ მასში დადებითი აზრი.

**მეორე შეკითხვა ასეთია: „რა არის ამ სიტუაციაში ჯერ კიდევ არასრულყოფილი?“** ის გულისხმობს, რომ ყველაფერი შეიძლება გახადო სრულყოფილი, და იგი იწვევს სრულიად სხვა შეგრძნებას, ვიდრე შეკითხვა: **„რა არ არის ამ სიტუაციაში, როგორც საჭიროა?“**

**მესამე შეკითხვა: „რა შემიძლია გავაკეთო, რომ შევცვალო სიტუაცია ისე, როგორც მე მინდა და მივიღო კმაყოფილება ამ პროცესისგან?“** ეს შეკითხვა გვეხმარება მოვნახოთ ყველა ის საშუალება, რომელთა დახმარებითაც შეგიძლიათ შეცვალოთ სიტუაცია, თანაც ისე, რომ ეს პროცესი გახდეს სასიამოვნო.

ნება მიბოძეთ მოვიყვანო იმის რამდენიმე მაგალითი, თუ როგორ მუშაობენ ეს შეკითხვები პრაქტიკაში. თუ გუშინ საღამოს, როდესაც გაფუჭდა თქვენი მანქანა, შეეკითხებოდით თქვენ თავს: „რა არის ამ სიტუაციაში შესანიშნავი?“ თქვენ შეგეძლოთ გეპასუხათ: „შესანიშნავია, რომ მე არ დავზარალდი“, „რა კარგია, რომ არის სარემონტო სამსახური, რომელიც დაგეხმარება“ ან „ბრწყინვალეა, რომ ეს არ მოხდა სადღაც სიღრმეში, მრავალი მილის დაშორებით უახლოესი ქალაქიდან“.



შემდეგ შეგეძლოთ, დაგესვათ შეკითხვა: „რა არის კიდევ არასრულყოფილი?“ პასუხი ცხადია: „ჩემი მანქანა“. დაბოლოს – „რა შემიძლია გავაკეთო, რომ შევცვალო სიტუაცია უკეთესობისკენ და მივიღო კმაყოფილება ამ პროცესისგან?“

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 148-149

# ლაშა ბაქრაძე: საქართველოს ეკლესია დღეს ეწევა ღია პრორუსულ პროპაგანდას

***რაზე მიუთითებს საქართველოს პატრიარქის მიერ გამოცემა „კავკაზსკაია პოლიტიკასთან“ საუბარში სტალინის შესახებ გაკეთებული განცხადება და იმის აღნიშვნა, რომ მას ძალიან უყვარს რუსეთი? — ამ საკითხზე „ბათუმელებთან“ ისტორიკოსმა, „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა და ლიტერატურის მუზეუმის დირექტორმა ლაშა ბაქრაძემ ისაუბრა:***

**— ბატონო ლაშა, ინტერვიუში პატრიარქმა განაცხადა, რომ მას რუსეთი ძალიან უყვარს, ამავდროულად ის ლაპარაკობს სტალინზე, როგორც გამოჩენილ პიროვნებაზე, რომელსაც გაცნობიერებული ჰქონდა რუსეთის მსოფლიო მნიშვნელობა. როგორ შეაფასებთ პატრიარქის ამ განცხადებას, რაზე მეტყველებს ეს?**

— სამწუხაროდ, ბოლო დროს აშკარა ხდება, რომ საქართველოს ეკლესია, ყოველ შემთხვევაში მისი მესვეურები, საქართველოში ასრულებენ რუსეთის მეხუთე კოლონის როლს. ინსტიტუცია, რომელიც საქართველოში ყველაზე პოპულარული და გავლენიანია, ეწევა ღია პრორუსულ და ანტიდასავლურ პროპაგანდას. ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ პატრიარქის გამონათქვამებიც, რომ რუსეთთან იყო და იქნება მეგობრობა, ის ზღაპრები, რომლებსაც ყვება ლტოლვილთა დაბრუნებასთან დაკავშირებით დადებულ პირობებზე და ასე შემდეგ, ძალიან სამწუხაროა, რადგან დღეს საქართველოს ჰყავს ერთადერთი მტერი და ეს მტერი არის რუსეთი. ყოველ შემთხვევაში, მთავარი მტერი, და ამ მთავარი მტრის ასეთ დონეზე პროპაგანდირება, ვფიქრობ, ცუდის მაჩვენებელია და პოლიტიკურად სრულიად გაუმართლებელი ქვეყანაში, რომლის ტერიტორიის დიდი ნაწილი ოკუპირებულია და რომელსაც ძალიან ცუდი გამოცდილება აქვს რუსეთთან ურთიერთობების. ეს არის დავიწყება საკუთარი ისტორიისა, ეს არის უარყოფა საკუთარი ისტორიისა და, მე ვიტყოდი, მონობის, ყმობის პროპაგანდა.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ ხდება რუსეთთან დიალოგის აღდგენის მცდელობა სტალინის კულტზე გავლით და არა დიალოგი, როგორც თანასწორუფლებიან სახელმწიფოსთან. რას მიანიშნებს ეს?**

— როგორც ჩანს, ამით ვაჩვენებთ, თუ რა არის ერის ცხოვრების იდეალი, რომ ვიყოთ ყმა სხვა ქვეყნის. სტალინი, როგორც საქართველოსთვის, ასევე რუსეთისთვის საშინელი, სისხლიანი რეჟიმის სიმბოლური ფიგურაა, რომელიც იყო დამყარებული ადამიანის ყოველგვარი უფლების უარყოფაზე. შეიძლება პატრიარქმა გაიხსენოს ის, რომ ტიროდნენ მისი გარდაცვალების გამო და დარწმუნებული ვარ, რომ ტიროდნენ სემინარიაში და არა მარტო იქ, გულაგებშიც კი ტიროდნენ, სადაც ოცნებობდნენ, რომ სტალინი მომკვდარიყო. მაგრამ, ეს არ არის მთავარი, მთავარი არის ის, რომ უკვე სტალინისგან გამოგვყავს მართლმადიდებლობის დამცველი, რელიგიური ადამიანი, რაც, ვფიქრობ, ზღვარს სცილდება, არა მხოლოდ ელემენტარული ცოდნის, არამედ ეთიკის ზღვარსაც.

**— სტალინის პერიოდში ეკლესიამ, მათ შორის ქართულმა, განიცადა არა მარტო მატერიალური ზარალი, არამედ მორალურიც. სასულიერო პირებიც, ისევე როგორც საზოგადოების დიდი ნაწილი, გახდნენ რეპრესიების მსხვერპლნი. ამ ყველაფრის იგნორირებას ახდენს თუ არა დღეს პატრიარქი თავისი განცხადებით?**

— ის ეკლესია, რომელიც დღეს გვაქვს, ვერ შეძლებს სტალინისგან გათავისუფლებას.

**— თუკი მართლმადიდებელი ეკლესია ვერ გათავისუფლდა საბჭოთა ტოტალიტარიზმის კომპლექსისგან, რამდენად არსებობს იმის ალბათობა, რომ ქართული საზოგადოება შეძლებს სტალინისგან განთავისუფლებას? და რას მოუტანს ეს ქართულ სახელმწიფოს?**



— საზოგადოებასაც ძალიან გაუჭირდება, რადგან მათთვის გავლენიანი და პოპულარული ადამიანები ეწევიან რუსეთის პროპაგანდას. ეწევიან ყველაზე საშინელი დიქტატორის პროპაგანდას და მისგან ქმნიან რაღაც იდეალურ ხატს, რომელიც არის მაკავშირებელი რგოლი მეტროპოლიასა და კოლონიას შორის.

**— სტალინის რეაბილიტაციის მცდელობამ ეკლესიის მხრიდან რა შედეგამდე შეიძლება მიიყვანოს თავად ეკლესია? და არის თუ არა ეს რეპრესიული რეჟიმის გამართლების მცდელობა?**

— როგორც ჩანს, ეკლესიის ის ნაწილი, რომელიც პრორუსულად არის განწყობილი, საბჭოთა პერიოდის შედეგია და სწორედ სტალინური რეპრესიების შედეგია ის, რომ ქართული სამღვდელოების საუკეთესო ნაწილი, რომელიც მართლაც სულიერებისთვის იბრძოდა, დაიღუპა. შემდეგ მოვიდნენ ჩეკისტები და კაკებეშნიკები, რომლებიც ეკლესიაში სწორედ სტალინმა დასვა სხვადასხვა თანამდებობაზე და ამით უწყობდა ხელს ეკლესიის გახრწნას.

**— ჩვენ არაერთხელ გვინახავს ხატების გვერდით განთავსებული სტალინის ფოტოები, რომელზეც არასდროს უსაუბრია საპატრიარქოს, თუნდაც როგორც საზოგადოებრივ პრობლემაზე, ან ღირებულებების პრობლემაზე. ეს ქვეცნობიერად წმინდანებისა და სტალინის ერთ სიბრტყეზე განთავსებას ხომ არ ნიშნავს?**

— როგორც ჩანს, პატრიარქი ამას არ მიიჩნევს პრობლემად, რადგან თვითონაც გულში დიდი სტალინისტი აღმოჩნდა.

**— ქართველი სასულიერო პირები ხშირად ეწევიან დასავლეთის დისკრედიტაციას და მას როგორც ქართული სახელმწიფოებრიობის მტერს, ისე წარმოაჩენენ. პატრიარქმა განაცხადა, რომ არ უნდა გავუშვათ სასწავლებლად შვილები უცხოეთში და ა.შ. ფაქტობრივად პატრიარქი ერთადერთი ადამიანია, რომელსაც აქტიურად მიჰყავს რუსეთთან დიალოგი. რა შედეგები შეიძლება მივიღოთ პოლიტიკურად სამომავლოდ?**

— რუსეთს, ფაქტობრივად, გამოყვანილი ჰყავს მთელი თავისი აგენტურა და საქართველოში მიმდინარეობს წარმოუდგენელი ანტიდასავლური და პრორუსული პროპაგანდა და საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის ამ ბრძოლაში პატრიარქი დღესდღეობით თამაშობს უაღრესად არადადებით როლს.

**— პატრიარქის რუსულ პრესაში გამოქვეყნებულ ინტერვიუს მხოლოდ სოციალურ ქსელში მოჰყვა რეაგირება, ნაკლებად - ტელემედიაში. მაშინ როცა სხვადასხვა კვლევაზე დაყრდნობით ვამბობთ, რომ ეკლესიას აქვს 95-პროცენტიანი ნდობა და რომ საზოგადოების უმრავლესობა მის განწყობებს თუ განცხადებებს უკრიტიკოდ იღებს, ვის აკისრია პასუხისმგებლობა შედეგებზე?**

— პატრიარქის განცხადებებს უკრიტიკოდ იღებს არა მარტო მორწმუნეთა ნაწილი, მთელი პოლიტიკური ელიტა სრულიად გაჩუმებულია. ტაბუ აქვს დადებული ელემენტარულ აზრის გამოთქმასაც კი ეკლესიასთან და, მით უმეტეს, პატრიარქთან დაკავშირებით და ყოველთვის, როცა არსებობს ქვეყანაში თემები, რომელთაც ადევს ტაბუ, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყანაში არ არის აზროვნების ნამდვილი თავისუფლება.

**— რას უნდა ველოდეთ ამ სიჩუმისგან?**

— უფრო მეტ შემოტევას რუსეთისგან და მისი გავლენის არასასურველ ზრდას. რუსეთი მტრული სახელმწიფოა არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ რუსი ხალხის წინააღმდეგაც, რადგან ის არის ღრმად არადემოკრატიული სახელმწიფო, რომელსაც არ მიუტოვებია თავისი იმპერიალისტური ზრახვები. ამიტომ, ამ პრობლემაზე პატიოსანმა ადამიანებმა უნდა ისაუბრონ, მათ, ვისაც მართლა აწუხებს საქართველოს ბედი. ნაკლები იმედი მაქვს მედიის, რადგან საქართველოში მედია არა თუ ყვითელია, არამედ — შავბნელი.

**ლელა დუმბაძე,**
გაზეთი „ბათუმელები“

## ეს ინტერვიუ გადმობეჭდა „ნეტგაზეთმა“, სადაც ასეთი კომენტარებიც დაიდო:

**● „არ გვაქვს რესურსი თავისუფლების მონობაში გაზრდილ ბროლიებს. აბა თავისუფალი ერი იკადრებს იმას, რასაც ჩვენ ვკადრულობთ? ყველანაირ გამართლებას ვუპოვით პატრიარქს, ოღონდ არ დავინახოთ ჩვენი საკუთარი ლაჩრობა და ვაღიაროთ, რომ ვნებდებით. თავისუფლებას იმსახურებს მხოლოდ ის ერი, ვინც მართლა იბრძვის მისთვის, მართლა აფასებს მას და არანაირ სიმდიდრეს ან ფუფუნებას არ ანაცვალებს მას. ჩვენ კი ერთი ტონა ყურძნის ბლოკადით გვიქნეს ის, რაც თემურ ლენგმა სისხლში ჩახრჩობით ვერ მოუხერხა ჩვენს წინაპრებს“.**

**● „ვარდების რევოლუცია მოამზადეს შევარდნაძემ და სოროსმა და ხელისუფლება გადაულოცეს სააკაშვილს. ეს რევოლუცია, რომელიც ფინანსდებოდა დასავლეთის მემარცხენე ლიბერალური ანუ სოციალისტური ორგანიზაციების მიერ, მიმართული იყო ეროვნული ტრადიციებისა და ქრისტიანული მორალის წინააღმდეგ და წარმოადგენდა საბჭოთა ხელისუფლების გაგრძელებას საქართველოში“.**

**● „ბულგარეთში ლუსტრაცია რომ ჩაატარეს, 13 ეგზარქოსიდან 11 კაგებეშნიკი გამოდგა და ჩვენთან რა სიტუაცია იქნება, ხომ აზრზე ხართ“...**

**● „ლუსტრაცია სჭირდებოდა და სჭირდება მთავრობას და არა ეკლესიას. საბჭოთა კავშირი იყო ათეისტური დიქტატურა“...**

**● „ინგლისის პრემიერ-მინისტრი ამბობს, რომ ინგლისი ქრისტიანული ქვეყანაა. ბიბისი“.**

**● „ბატონო შერხან, ინგლისი მართლაც რომ ქრისტიანული ქვეყანაა და არა იმიტომ რომ ეკლესიების სიმრავლითა და მრევლით ჰყავის, ან კი მას მღვდლები მართავენ, არამედ იმიტომ რომ ის ტოლერანტული, განვითარებული და დემოკრატიული ქვეყანაა. იქ ქრისტიანობა შემწყნარებლობის საშუალებაა და არა ხალხის თავში ტაბურეტების რტყმის, სიცრუეების ბოდვის და სტალინის გაღმერთების. ჩვენ ქრისტიანები კი არა, წარმართი აიათოლები ვართ. ასე რომ, დიახ ,კამერონი მართალია და თქვენ კი ვერაფერი გაიგეთ მაგ სტატიაში თუ მათ ქრისტიანობასა და ჩვენსას ერთმანეთს ადარებთ.“**

**● „სააკაშვილის ყველაზე დიდი შეცდომა იყო ის, რომ დათანხმდა შევარდნაძეს და სოროსს, ჩადგომოდა სათავეში ვარდების რევოლუციას ეროვნული ტრადიციებისა და ქრისტიანული მორალის წინააღმდეგ“...**

**● „სამწუხაროდ, ძალიან კარგმა მოაზროვნემ აკაკი ბაქრაძემ გაზარდა სულიერად და ინტელექტუალურად ცვედანი შვილი (მე არ ვეხები მის პიროვნულ თვისებებს. შეიძლება ადამიანურად ის ბევრად უკეთესია, ვიდრე მე.), რომელიც თავს უფლებას აძლევს, შეურაცხმყოფელი ტონით ისაუბროს ადამიანზე, რომელმაც თავისი არსებობა მიუძღვნა ღმერთს, სამშობლოს და ჩვენ —საქართველოს მოქალაქეებს“.**

**● „ბაქრაძე არ არის მართლმადიდებელი და, მით უმეტეს, უფრო კორექტული უნდა იყოს, როდესაც სხვა (არა მისი) აღმსარებლობის ეკლესიის მღვდელმთავარზე საუბრობს“.**

**● „კორექტულ კრიტიკას და აზრის ნორმალურად გამოთქმას ვერავინ ვერავის აუკრძალავს, მაგრამ შეურაცხმყოფელი ტონით საუბარი დაუშვებელია და არამარტო პატრიარქის, მისი მრევლის შეურაცხყოფაცაა“.**

**● „მე ვარ საქართველოს მოქალაქე და მე ვთვლი, რომ პატრიარქმა თავი მოგვიძღვნა არა ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებს, არამედ იმ ქვეყანას, რომელშიც დაიბადა და რომლის სამართალმემკვიდრეც ახლა რუსეთია. რამდენად მიუძღვნა მან თავი ღმერთს, ამის განსჯის უფლებას თავს არ მივცემ, რომც შემეძლოს“.**

**● „შენ ეწევი ღია პროამერიკულ პროპაგანდას, რამაც დაახლოებით 25 წელია, სული ამოხადა ამ ქვეყანას“...**

**● „რა სამწუხაროა, რომ თქვენნაირად ჯერ კიდევ ბევრი ფიქრობს, და ვერ გაგიგიათ სინამდვილეში ვინ ამოხადა ქვეყანას სული, კიდევ რა არის იცით უფრო მეტად სამწუხარო? განათლება რომ არ გყოფნით, რომ ფაქტები თვითონ გააანალიზოთ და ვიღაც არაკეთილმოსურნის პროპაგანდის მსხვერპლი არ გახდეთ.“**

**● „კარგად გიხდიან, ეტყობა, მწვანე ბანკნოტებს და ამიტომაც გაქვს მაღალი კლასის განათლება, რაც საშუალებას გაძლევს ფაქტები თვითონ გააანალიზო“...**

**● „განათლება შეიძლება არ ჰქონდეს ადამიანს, მაგრამ კარგად ცხოვრობს თუ ცუდად, იმას ხვდება. გლეხს განათლებას მიწა და ცა აძლევს, და მოდით, შევეჯიბროთ მას სიბრძნეში. არც ეცადოთ — გაჯობებთ. ზოგჯერ წიგნსაც და მწერალსაც შერჩევა უნდა, იმისთვის რომ ჭეშმარიტი განათლება, ანუ ღირებული ინფორმაცია მიიღო. ვინ გაძლევთ თქვენ უფლებას, ვინმეს განათლებასა და ინტელექტზე ისაუბროთ? ეს უკვე უინტელექტობის ნიშნებია. სხვათა შორის, არ მახსოვს, მაგრამ სულ ახლახან ვიღაცამ თქვა ლაშა ბაქრაძეზე — აკაკი ბაქრაძის შემდეგ მის შვილზე ბუნებამ დაისვენაო. მე ვეთანხმები. ფრთხილად, გოგონი, ვინმეს ინტელექტსა და სულიერებას რომ განიხილავ“.**

**● „როგორც ჩანს, ამით ვაჩვენებთ, თუ რა არის ერის ცხოვრების იდეალი, რომ ვიყოთ ყმა სხვა ქვეყნის“, — ეს დასკვნა მხოლოდ პატრიარქის ინტერვიუდან გამოიტანეთ თუ ბოლო 25 წლის გამოცდილების თქვენეული გადაფასების შედეგია? სწორედ გადაფასების, რადგან მეეჭვება, იგივე დასკვნა გქონოდათ ერთი წლის წინათ ან უფრო ადრე. კიდევ ერთი: „სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი“. ეს სიტყვები თეიმურაზ პირველს ეკუთვნის, რომელმაც სპარსელებთან ბრძოლას შესწირა დედა და სამი შვილი, ბოლოს ისევ სპარსეთში ჩავიდა პრობლემების მოსაგვარებლად და იქვე გარდაიცვალა. როგორ ფიქრობთ, მისი საქციელი ადასტურებდა, რომ „როგორც ჩანს, ამით ვაჩვენებთ, თუ რა არის ერის ცხოვრების იდეალი, რომ ვიყოთ ყმა სხვა ქვეყნისა“?**

**● „ძალიან მაინტერესებს, ასე თუ გვჯერა ეკლესიის, თუ ასეთი ხელშეუხებელია პატრიარქის ყოველი სიტყვა, თუ ასეთი მორწმუნეები ვართ, რატომ არის ქართველების დიდი უმრავლესობა „გაფაციცებული“ საკუთარი ჯიბის, საკუთარი ოჯახის, საკუთარი ქვაბის ამოვსებით?! რატომ არის ამდენი მათხოვარი, ამდენი მშიერი ბავშვი, ამდენი ავადმყოფი და მეორე მხარეს — ქართველი ფულის ტომრები?! სად არის ლოგიკა?! რუსეთი და სტალინი კი არაა ჩვენი ყველაზე დიდი უბედურება, არამედ ჩვენი მოქლაქეობრივი შეგნება, რაც ან არ გვაქვს, ან გვაქვს, მაგრამ პირადი სძალავს მას. მოჩვენებითობა დამღუპველია ყველგან და ყველასთვის — რწმენაშიც, განათლებაშიც, კომპეტენტურობაშიც და, თუ გნებავთ, პატრიოტიზმშიც. აღარაფერს ვამბობ ქრისტეს მთავარ მცნებაზე, რომ ჩვენი მოყვასი უნდა გვიყვარდეს“.**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთი და საქართველო ხუთი წლის შემდეგ: არც ომი, არც მშვიდობა

**ხუთშაბათს შესრულდა ხუთი წელი რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებიდან, რომელიც ცნობილია, როგორც „აგვისტოს ომი კავკასიაში“. მიუხედავად იმისა, რომ ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოში შეიცვალა ხელისუფლება, მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობებში „დათბობა“ არ ჩანს.**

ამ ცოტა ხნის წინათ სხვა რამის მოლოდინი არც იყო. კრემლი მიხეილ სააკაშვილს თანმიმდევრულად უწოდებდა მისთვის მიუღებელ პარტნიორს. მაგრამ შარშან ოქტომბერში სააკაშვილის პარტიამ წააგო პარლამენტის არჩევნები. პრემიერ-მინისტრი გახდა ბიძინა ივანიშვილი, რომელიც პრორუსულ პოლიტიკოსად მიიჩნეოდა. სააკაშვილი ჯერჯერობით რჩება პრეზიდენტად, მაგრამ „კოჭლ იხვად“ იქცა და, ანალიტიკოსების შეფასებით, ბევრ რამეს ვერც წყვეტს.

ამ დროს ორმხრივ ურთიერთობაში განტვირთვის ერთადერთი გამოვლინება გახდა რუსეთის ბაზარზე მაის-ივნისში ქართული ღვინოების, კონიაკისა და მინერალური წყლების გამოჩენა. ამავე დროს ქართველი პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე მიუთითებს, რომ ეკონომიკური მნიშვნელობა ამ ზომისა დიდი არაა, ვინაიდან რუსი მომხმარებლები გადაეჩვივნენ ქართულ პროდუქციას, ქართველმა მწარმოებლებმა კი ახალი პარტნიორები მონახეს.

### იმედები და განბილება

**საყვარელიძის სიტყვებით, რუსეთთან ურთიერთობებს ცენტრალური ადგილი ეკავა შარშანდელ საარჩევნო კამპანიაში. ივანიშვილმა უმთავრესწილად გაიმარჯვა იმიტომ, რომ გვპირდებოდა სიტუაციის მოწესრიგებას. მის თანამემამულეებს იმედი ჰქონდათ, რომ ანტირუსულ რიტორიკაზე უარის ნაცვლად, დასავლეთთან ორიენტაციისა და ნატოსთან ფორსირებული დაახლოების პარალელურად**



**მიიღებენ თუნდაც რაიმე დათმობებს, მაგრამ გადაეყარნენ ოფიციალური მოსკოვის ცივ და ყალბ ტონს.**

საქართველოში დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდა მაის-ივნისის მოვლენებს სამხრეთ ოსეთის საზღვართან: რუსეთის მესაზღვრეებმა საქართველოს და სამხრეთ ოსეთის საზღვარზე აღმართეს მავთულხლართების ღობე. ბიძინა ივანიშვილი დაჰპირდა ამომრჩევლებს, რომ გააუმჯობესებდა ურთიერთობებს რუსეთთან, თუმცა ბევრი რამ ამ საქმეში ვერ მოხერხდა.

2 ივნისს სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქმა ამ საკითხთან დაკავშირებით წერილით მიმართა ვლადიმერ პუტინს.

ქართული მხარე ამტკიცებს, რომ მავთულხლართები დაყენებულია დაახლოებით 300 მეტრზე მისი ტერიტორიის სიღრმეში, მოსკოვსა და ცხინვალში კი საუბრობენ იმის შესახებ, რომ გამყოფი ხაზი გადის ზუსტად იქ, სადაც გადიოდა საზღვარი საბჭოთა რუკებზე.

იმისდა მიუხედავად, თუ ვინაა მართალი მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, უამღობურებოდ როგორმე იოლად გადიოდნენ ხუთი წლის განმავლობაში, ახლა კი გადაწყვიტეს ღობურების აგება, თანაც სწორედ მაშინ, როდესაც საქართველოს ახალმა ხელმძღვანელებმა უარი განაცხადეს ძალის გამოყენებაზე და ის-ის იყო იწყებოდა დიალოგის მყისიერი ქსოვილების ჩამოყალიბება.

ქართველებმა ამაში მოსკოვის მხრიდან ურთიერთობათა გაუმჯობესებისთვის დაინტერესების სრული არარსებობა დაინახეს.

### მედვედევის ინტერვიუ

**ტელეარხ „რაშია ტუდეის“-თვის ამ ცოტა ხნის წინათ მიცემულ ინტერვიუში, რომელიც მიძღვნილი იყო 2008 წლის მოვლენების წლისთავისადმი, რუსეთის პრემიერმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ არის „აბსოლუტური ოპტიმისტი“ და რომ „ჩვენი ხალხი არც დავობდა“. მაგრამ უმალვე დაუმატა: რუსეთი მზადაა დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენისთვის მხოლოდ „გარკვეული პირობებით, ეს პირობები კი მარტივია — იმის აღიარება, თუ რა მოხდა (ესე იგი მას მხედველობაში ჰქონდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა— რედ)“.**

გასაგებია, რომ საკითხი ორი რესპუბლიკის სტატუსის შესახებ უახლოეს პერიოდში გადაწყვეტას არ ექვემდებარება. არც მოსკოვს, არც თბილისს არ შეუძლიათ ჩამოვიდნენ თავიანთი პოზიციიდან ისე, რომ სახე არ დაკარგონ.

მოსკოველი ექსპერტი პაველ სვიატენკოვი არ გამორიცხავს, რომ მოსკოვში ელოდებიან სააკაშვილის საბოლოო წასვლას. „იქნებ მაშინ გაჩნდეს რაიმე მცდელობა მოწესრიგებისთვის, თუმცა, ეს მცდელობანი არა გვგონია, რომ წარმატებული იყო“, — განაცხადა მან.

თუმცა, მთავარი არც ესაა. მსოფლიო პრაქტიკაში საკმაოდ ბევრი მაგალითია, როდესაც სახელმწიფოები უარს არ ამბობენ დიალოგზე, მიუხედავად ურთიერთპრეტენზიის სიუხვისა და მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს პირადი სიმპათიები ლიდერებს შორის.

საქართველოსთან დაკავშირებით მოსკოვს არ გააჩნია რეალური დაინტერესება ნორმალიზაციაში, მიაჩნია ანალიტიკოსს.

„ეკონომიკური თვალსაზრისით საქართველო არაფერს წარმოადგენს“, — ამბობს იგი.

### მოსკოვის გვერდის ავლით?

**„ყველაფერი იქნება დამოკიდებული იმ ხალხების ნებაზე, რომლებიც ამ ტერიტორიაზე ცხოვრობენ. ჩვენ გვინდოდა, რომ ისინი ცხოვრობდნენ მშვიდობიანად. რა ფორმით განხორციელდება ურთიერთობა მათ შორის — ეს მათი საქმეა. ჩვენ ამ პროცესებზე გავლენას არ მოვახდენთ“, — განაცხადა დიმიტრი მედვედევმა პასუხში შეკითხვაზე: შესაძლებელია თუ არა საქართველოს შეერთება მის ყოფილ ავტონომიებთან.**

ბიძინა ივანიშვილი, თავის მხრივ, არაერთგზის აღნიშნავდა რომ სურს შევიდეს დიალოგში არა მხოლოდ მოსკოვთან, არამედ ცხინვალთან და სოხუმთანაც.

„დიდი ეჭვი მაქვს, — აკეთებს პაველ სვიატენკოვი. — რაღაც მოლაპარაკება შესაძლებელია, თუმცა იგი, ალბათ, უნაყოფო იქნება. აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი შეიძლება დაბრუნდნენ საქართველოში, თუ რუსეთი წავა რეგიონიდან“.

რამაზ საყვარელიძეს ეჭვი ეპარება მედვედევის გულწრფელობაში და დარწმუნებულია, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსი მთლიანად და სრულად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა საკითხია.

ქართველ ექსპერტს სჯერა, რომ მომავალში სიტუაცია შეიძლება შეიცვალოს, თუ მისი ქვეყანა შეძლებს, თავისთან ააშენოს მიმზიდველი საზოგადოება, რუსეთი კი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მხარს დაუჭერს ავტორიტარულ კორუმპირებულ რეჟიმებს, ნაცვლად ღია ეკონომიკისა და დემოკრატიისა.

„აღმოსავლეთ ევროპის მცხოვრებლები რუსებს ხვდებოდნენ, როგორც განმათავისუფლებლებს, შემდეგ კი აღარ იცოდნენ, სად გაქცეულიყვნენ სსრ კავშირისგან“, — ამბობს იგი.

სხვათა შორის, საყვარელიძე აღიარებს, რომ შესაძლებლობა ჰიპოთეტურია, და ნებისმიერ შემთხვევაში — არა ხვალინდელი დღის საქმე.

### PRO და CONTRA

**საინტერესოა, ვრცელი ინტერვიუთი რუსეთ-საქართველოს წარსულის, ამჟამინდელი და მომავალი ურთიერთობების შესახებ რატომ გამოვიდა არა ვლადიმერ პუტინი, არამედ დიმიტრი მედვედევი, თუმცა, რუსეთის კონსტიტუციისა და წეს-ჩვეულებათა შესაბამისად, საგარეო პოლიტიკა პრემიერ-მინისტრის კომპეტენციაში არ შედის?**

პაველ სვიატენკოვი მიზეზს ისტორიაში ხედავს: 2008 წელს მედვედევი იყო პრეზიდენტი და უმაღლესი მთავარსარდალი.

მაგრამ ზოგიერთ მეთვალყურეს მიაჩნია: პუტინს არ სურს, ჩაუღრმავდეს ამ თემას, ვინაიდან გულში აღიარებს, რომ შედეგად რუსეთმა წააგო, და აქ თავის ქება არაფერ შუაშია.

მალე ომის დამთავრებიდან დიმიტრი იაზოვის ყოფილი თანაშემწე, გეოპოლიტიკის აკადემიის პრეზიდენტი, გენერალი ლეონიდ ივაშოვი გამოთქვამდა აზრს, რომ მთავარი გამარჯვება რუსეთმა მოიპოვა არა საქართველოზე, არამედ თავის თავზე: პირველად 20 წლის განმავლობაში ქედი არ მოუხრია დასავლეთის წინაშე.

თუ ასე ვიმსჯელებთ, მაშინ ყველაფერი გასაგებია. მაგრამ თუ საგნებს თავმოყვარეობის პოზიციიდან კი არ შევხედავთ, არამედ პრაგმატული თვალსაზრისით, რაშია შედეგი?

— დამატებით გაიფუჭეს ურთიერთობანი მსოფლიოს იმ ნაწილთან, რომელიც, რაც არ უნდა თქვა, არის ტექნოლოგიებისა და ინვესტიციების მთავარი წყარო, და ურომლისოდაც რუსეთის მოდერნიზაცია შეუძლებელია.

შეაშინეს პარტნიორები დსთ-დან, უჩვენეს მათ, რომ, თურმე, მზად არიან ზოგიერთის წინაშე გამოიყენონ სამხედრო ძალები და გადააკეთონ პოსტსაბჭოთა საზღვრები. მეგობარმა ლუკაშენკომაც კი არ დაუჭირა მხარი მოსკოვს ამ საკითხში, ანალიტიკოსების აზრით, შემდეგი შიშით: დღეს საქართველოა, ხვალ კი ვინ იქნება?

დიდი ხნით, თუ სამუდამოდ არა, დაკარგეს საქართველო. თუ არ ვისაუბრებთ წარსულის აჩრდილსა და გადაუჭრელ ტერიტორიულ საკითხზე, ივანიშვილის დროს მას, არ არის გამორიცხული, შეეძლო, გამხდარიყო რუსეთის მოკავშირე.

შეიძინეს კი ორი, ერთი ციცქნა, სივრცე, რომლებიც პრაქტიკულად სარგებელს არ იძლევიან, არამედ ითხოვენ მხოლოდ ხარჯებს. მარტო სამხრეთ ოსეთში 2008 წლიდან მათ იქ დააბანდეს „37,25 მილიარდი რუბლი“.

რასაკვირველია, ყველა ამას როდი ეთანხმება.

BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე




**ინგლისური ჟურნალი „დი ეკონომისტი“ აღარ შემოდის უკრაინაში: ბიზნესი იქ „მხოლოდ ბანდიტებს“ შეუძლიათ**

ბრიტანელები, რომლებიც ცდილობდნენ, გაეხსნათ ბიზნესი უკრაინაში, გაოგნებულები დარჩნენ, როდესაც ადგილობრივმა სახელმწიფო ჩინოვნიკებმა მათგან მოითხოვეს „ქრთამის ისეთი თანხები, რომ „დი ეკონომისტმა“ თავში ხელი იტაცა“. ანალოგიურ პრობლემას გადააწყდა ერთ-ერთი ამერიკული ჟურნალიც, წერენ ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

* * *

**პოლიტიკოსებმა და ექსპერტებმა განსაზღვრეს, რომ რუსეთისა და აშშ-ის ურთიერთობანი „გაიყინა“ 2017 წლამდე**



ასეთი დასკვნა მათ გააკეთეს მას შემდეგ, რაც ამერიკის პრეზიდენტმა გააუქმა ვლადიმერ პუტინთან მოსკოვის შეხვედრა. ამავე დროს გადაწყვეტილება მიღებული იქნა ადრე — რუსეთს ინფორმაცია მიაწოდეს მხოლოდ ორი დღის შემდეგ, გვაცნობა ამერიკის შეერთებული შტატების მაღალი რანგის წარმომადგენელმა. შეხვედრას რუსეთის ლიდერთან პეტერბურგის „დიდი ოცეულის“ სამიტზე ობამა არ გეგმავს.

* * *

**მზის მაგნიტური ველი მალე პოლარობას შეცვლის, ვარაუდობენ „ნასაში“**



„როგორც ჩანს, სულ რაღაც სამიოთხი თვე დაგვრჩა ველის სრულ შემობრუნებამდე. ეს ცვლილება გამოიწვევს ტალღოვან ეფექტს მთელ მზის სისტემაში“, — განაცხადა მზის ობსერვატორიის დირექტორმა ტოდ ჰოქსენმა. არ არის გამორიცხული, რომ ეს პროცესი ნეგატიურ გავლენას მოახდენს დედამიწაზეც — მიგვიყვანს კლიმატის შეცვლასთან და ზოგიერთ სხვა პრობლემასთან.

* * *

**გვატემალაში მაიას უნიკალური ქანდაკება აღმოაჩინეს**

მეცნიერთა სავარაუდო დაანგარიშებით, ქანდაკება და ფრიზი დამზადდა დაახლოებით 590 წელს. წითელი და სხვა მრავალი ფერით შეღებილი ფრიზი გამოსახავს 3 მამაკაცს, რომლებსაც ახურავთ მაიას ტრადიციული ქუდები. თავად პირამიდაში აღმოაჩინეს ადამიანის ჩონჩხი და სამკაულები ძვირფასი ქვებისგან.



⦿ უკანონობის აჯაფსანდალი



# განჩინება არ არსებობს?

## სასამართლომ დავით კირვალიძეზე ფარული მოსმენის ნებართვა გასცა

**დავით კირვალიძე, შალვა ფიფია, დავით შერვაშიძე, დავით გალეგაშვილი, გიორგი ჩხეიძე, კონსტანტინე ხურცაიძე, გიორგი იაკობაშვილი, ხვიჩა კოჭოშვილი და გიორგი მარდანეიშვილი, ეს გახლავთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოსანთა სრული სია, რომელთა სატელეფონო საუბრების ფარული მოსმენის შუამდგომლობით, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სასამართლოს 27 ივნისს მიმართა.**

ადვოკატი ლევან სამუშია, რომელიც „ტრაქტორების საქმეზე" დაკავებული პროფესორების ზაზა მახარობლიძისა და ომარ თედორაძის ინტერესებს იცავს for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ მან საქმის მასალებში აღმოაჩინა, რომ 27 ივნისს პროკურორმა დავითაშვილმა სასამართლოს სოფლის მეურნეობის მოქმედი და ყოფილი მინისტრის, ასევე სამინისტროს სხვა მაღალჩინოსნების სატელეფონო საუბრების მოსმენის ნებართვა სთხოვა.

ადვოკატის ინფორმაციით, სასამართლომ შუამდგომლობა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და პროკურატურას მხოლოდ მინისტრისა და მისი მოადგილის მოსმენის ნებართვა არ მისცა. მიუხედავად იმისა, რომ მაღალჩინოსნებს სასამართლოს მიერ გაცემული სანქციით 27 ივნისიდან 27 ივლისის ჩათვლით ოფიციალურად უსმენდნენ, პროკურატურამ წინა სასამართლო სხდომაზე არ წარმოადგონა ფარული ჩანაწერები. ამასთან აღსანიშნავია, რომ საქმეში მხოლოდ სასამართლოს ნებართვა დევს ფარული მოსმენის შესახებ, ხოლო საუბრის შინაარსი, გამოიკვეთა თუ არა დანაშაულებრივი კავშირები, არ დევს.

ადვოკატი ლევან სამუშია ფიქრობს, რომ პროკურატურას „ტრაქტორების საქმეზე" მტკიცებულებების არარსებობის გამო სურდა სატელეფონო საუბრების მოსმენა.

**„არანაირი მტკიცებულება ამ საქმეზე გამოძიებას არ ჰქონდა. აქიდან გამომდინარე, გამოძიება ცდილობდა რამენაირად მოეპოვებინა დანაშაულის ნიშნები და იქამდეც მივიდნენ, რომ საქართველოს მთავრობის წევრზე, მოქმედ მინისტრზე ფარული მოსმენის ნებართვა მოითხოვეს.**

**ვისზეც გასცა სასამართლომ მოსმენის ნებართვა, მათი მოსმენის შედეგები საქმის მასალებში არ დევს. პროკურატურამ არ მიიჩნია საჭიროდ, რომ ეს საქმეში ჩაედო. ბუნებრივია, რაიმე ხელშესახები რომ ჰქონოდათ, წარმოადგენდნენ. დანაშაული არ მომხდარა და არმომხდარ დანაშაულზე მტკიცებულების მოპოვება გამორიცხული და ალოგიკურია. რაც არ იყო, იმას ვერ ნახავდნენ და ვერც ნახავენ. იქიდან გამომდინარე, გვაქვს მხოლოდ პროკურორ დავითაშვილის შუამდგომლობა და სასამართლოს ნებართვა. ფარულ მოსმენაზე სასამართლო ნებართვა გაცემულია 1 თვით, 27 ივნისიდან და 27 ივლისამდე",** — აცხადებს ლევან სამუშია.

მისივე თქმით, ფარულ მოსმენაზე სასამართლოს ნებართვის გაცემა უკანონო არაა და სასამართლოს აქვს უფლება, გასცეს ეს ნებართვა. როგორც ადვოკატი განმარტავს, ეს ნებართვა პროკურატურას დასჭირდა ბრალდების გასამყარებლად, ვინაიდან არანაირი მტკიცებულება ამ საქმეში პროკურატურას არ გააჩნია.

საიას თავმჯდომარე კახა კოჟორიძე თვლის, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოსნების საქმეში პროკურატურის თანამშრომელთა ქმედებები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ჩარჩოებს გასცდა. მისივე თქმით, ძიება მიმდინარეობს იმ მეთოდებით, რომლებიც შესაძლოა, თავად შეიცავდეს დანაშაულის ნიშნებს.

**„ამ საქმეში თავიდანვე გამოიკვეთა, რომ დანაშაულის ნიშნები არ იკვეთებოდა. გამოძიებას არ ჰქონდა მტკიცებულება, რომ დაედო. რაც შეეხება პროკურატურის მოქმედებას, მთავრობის წევრის ფარული მოსმენის ნებართვასთან დაკავშირებით, ეს კანონმდებლობით აკრძალული არაა. ამიტომ, ვერ ვიტყვი, რომ ეს უკანონოა, მაგრამ უბრალოდ, მიუთითებს იმაზე, რომ საქმე არაა მყარი და ბევრი რამე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ამიტომ დასჭირდათ მინისტრის მოსმენა. ვერ ვიტყვი, რომ ჩვეულებრივი ამბავია მინისტრის მოსმენა",** — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას კახა კოჟორიძე.

ამასთან აღსანიშნავია, რომ პროკურატურამ გამოაქვეყნა სოფლის მეურეობის საქმეზე დაკავებულ მამუკა ივანიაძის ფარული ჩანაწერი. პროკურატურის მტკიცებით, ივანიაძის ფარული ჩაწერა კანონთან შესაბამისად განხორციელდა. კოჟორიძის მტკიცებით, პროკურორი გიორგი დავითაშვილი როდესაც ახდენდა ფარულ ვიდეო გადაღებას მამუკა ივანიაძის მიმართ სასჯელაღსრულების სისტემაში, მაშინ მას მაღალი ალბათობით არ ჰქონდა სასამართლოს სანქცია. მან ჩაიდინა დანაშაული და ეს არის გამოსაძიებელი.

**„კანონი ავალდებულებს სასამართლოს, რომ წინა სასამართლო სხდომაზე 5 დღით ადრე დაცვის მხარეს გადასცეს საქმის მასალები, მაგრამ პროკურატურამ დაცვის მხარეს არ გადასცა ფარული ჩანაწერები, რაც გვიქმნის იმის საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ასეთი განჩინება საერთოდ არ არსებობს. თუ სასამართლოს ნებართვა არაა გაცემული, მაშინ ეს არის დანაშაული. როდესაც ჩვენ გავაკეთეთ განცხადება ამ საკითხზე, პროკურატურამ მეორე დღესვე გააკეთა განმარტება, რომ ყველაფერი იყო კანონშესაბამისად გაკეთებული, მაგრამ ეს სანქცია საქმეში არ დევს.**

**თუ სასამართლოს განჩინება არსებობს, მაშინ პროკურატურამ გაასაჯაროვოს ეს საქმე. დიდი ალბათობით, ასეთი განჩინება არ არსებობს. როდესაც პროკურორი სასჯელაღსრულების სისტემაში უკანონოდ იწერს პიროვნებას, ეს სერიოზული შეშფოთების საგანია.**

**პროკურატურის პრესრელიზში მითითებულია, რომ მამუკა ივანიაძის ჩვენების „ნამდვილობა და უტყუარობა, ამ ჩვენებისგან დამოუკიდებლად დადგენილია ათეულობით მოწმის ჩვენებებით, ამოღებული დოკუმენტებით, ნივთიერი, მათ შორის ვიდეო და სხვა ერთმანეთთან შეთანხმებული აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით". ამ ციტატიდან რამდენიმე წინადადების შემდეგ პრესრელიზში განსხვავებულ აღწერილობას ვხვდებით.**

**ჩვენებაში დაფიქსირებული მონაცემები არსებითად ახალი და განსხვავებულია იმ მომენტისთვის არსებული საგამოძიებო ვერსიისგან, რითაც ეჭვგარეშე დასტურდება, რომ ამ ინფორმაციის მატარებელი იყო პირადად ივანიაძე და არა გამომძიებელი ან პროკურორი, შესაბამისად, გაუგებარი ხდება, თუ პროკურატურას უკვე ჰქონდა ივანიაძის მიერ მიწოდებული ინფორმაცია და მისი ჩვენების ნამდვილობა დასტურდება „ათეულობით მოწმის" ჩვენებით და „სხვა ერთმანეთთან შეთანხმებული აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით", მაშინ როგორ არის იგივე ჩვენება „არსებითად ახალი და განსხვავებული?",** — აღნიშნა კახა კოჟორიძემ.

კახა კოჟორიძე აცხადებს, რომ პროკურატურის მიერ გავრცელებული ვიდეომასალა უწყვეტ რეჟიმში მოწოდებული არ არის და იგი დამონტაჟებულია.

**„ფაქტია, რომ ვიდეოგადაღება მოხდა ფარულად, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. როგორც ჩანს, კამერა თავად პროკურორ გიორგი დავითაშვილს ჰქონდა დამონტაჟებული, შესაბამისად, გასარკვევია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ჰქონდა თუ არა გამოძიებას სასამართლოს ნებართვა ფარული ჩანაწერის განხორციელებაზე. სასამართლოს ნებართვის არარსებობის შემთხვევაში, იმ პირთა ქმედებებში, ვინც ფარული ჩანაწერის გაკეთება დაგეგმა ან განახორციელა, დანაშაულის ნიშნები იკვეთება",** — განაცხადა კახა კოჟორიძემ.

მისივე თქმით, პროკურატურაში ისევ არიან ის პირები, რომელთა ქმედებების კანონიერებასთან დაკავშირებით, წინა წლებში კითხვები არსებობდა. კახა კოჟორიძე შოთა ტყეშელაშვილის მაგალითზე საუბრობს.

**„მაგალითად, ის პროკურორი, რომელიც 2013 წლის 22 ივლისს პროკურატურაში გამართულ პრესკონფერენციაზე დამაჯერებლად უხსნიდა საზოგადოებას, რომ ივანიაძეზე არანაირი ზეწოლა არ განხორციელებულა, 2012 წლის 22 ივნისს, ასევე იმ საქმეში, სადაც ჩვენი ადვოკატები იყვნენ ჩართულნი, იმავე დამაჯერებლობით უხსნიდა საზოგადოებას, რომ შპს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგი" ანტენების გადაცემის მეშვეობით ამომრჩეველთა მოსყიდვას აწარმოებდა",** — განაცხადა for.ge-სთან საუბრისას კახა კოჟორიძემ.

**თამთა ქარჩავა**

⦿ გაკვირვების უნარი მაინც შევინარჩუნოთ!

# წინა ხელისუფლებამ ჰიბრიდულ სიმინდზე ფული აკეთა, ფერმერები ზარალის ანაზღაურებას ახალ მთავრობას სთხოვენ

**უცხოეთიდან შემოტანილ და ფერმერებისთვის იძულებით მიყიდული ჰიბრიდული სიმინდის თესლი, ძირითადად, უნაყოფო გამოდგა. მაშინდელი სოფლის მეურნეობის მინისტრი ექიმი გოროზია, მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკის მინისტრი, პურის მცხობელი ვერა ქობალია ფერმერებსა და გლეხებს ამ სიმინდით აშენებას ჰპირდებოდნენ. „პიონერი" — ასეთი სახელით წარუდგინეს მოსატყუებლად განწირულ ხალხს უჯიშო ჰიბრიდი,1 ჰა-ზე ორივე მინისტრი ენააქაფებული გაჰყვიროდა, რომ მოსავალი 13-15 ტონა მოვიდოდა, მაგრამ ყოველივე მეცნიერული კვლევებისა და დასკვნების გარეშე შემოსული კულტურა ჩვენს ჰავასა და მიწას ვერ შეეგუა. ზოგან საერთოდ ვერ გაიხარა, ზოგან სუსტი ტარო გამოისხა. მხოლოდ რამდენიმე ადგილას აღმოცენდა, „გაიჯეჯილა", მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა.**

სააკაშვილის გუნდმა ფერმერებს „არნახული მოსავლის" მისაღებად კომერციული ბანკებისგან კრედიტის აღებისკენ უბიძგა. ისინიც ენდნენ ხელისუფლებას და მერამდენედ აღმოჩნდნენ ნაციონალებისგან მოტყუებულნი. თუმცა, დალხენილი არც ნორმალური მოსავლის მიმღებნი აღმოჩნდნენ. როგორც ჰიბრიდით დაზარალებულთა კავშირის თავმჯდომარე ელიზავეტა ფეოდოროვა-ქორიძე აცხადებს, გოროზიამ და ვერიკომ ფერმერებს მოწეული მოსავალი საშრობებში შეატანინეს, შემდეგ კი მეპატრონეებთან შეუთანხმებლად თითქოსდა 50 თეთრად გაყიდეს. და რაღაც თანხები ფერმერებს დაურიგეს. მაგრამ ფიოდოროვასა და მისთანა დაზარალებულებს ეჭვი აქვთ, რომ ნაყოფი უფრო ძვირად გაიყიდა. არადა, როგორც დაზარალებულთა კავშირში აცხადებენ, მათ 58-თეთრიანი მყიდველი ჰყავდათ, მაგრამ ხელისუფლებამ ძალა გამოიყენა და მოტყუებით, 8 თეთრით ნაკლებად გაყიდეს სიმწრით, კრედიტით მოწეული მოსავალი.



თავმჯდომარე ამბობს, რომ თესლს ლაბორატორიული კვლევა მხოლოდ აფიორული ჩავარდნის შემდეგ ჩაუტარდა და ის ფალსიფიცირებული აღმოჩნდა. ვარდოსნების პერიოდში საქმეს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური იძიებდა, მაგრამ მოულოდნელად გაურკვეველი მიზეზების გამო შეწყდა, ახალ ხელისუფლებასაც მიმართეს დაზარალებულებმა. სოფლის მეურნეობის მინისტრი კირვალიძე მისი სკანდალში გარევამდე და გადადგომამდე ფერმერებსა და გლეხებს ყოველმხრივ დახმარებას დაპირდა, მაგრამ ყველასთვის ცნობილი მოვლენების გამო საქმის შესწავლა ჯერჯერობით შეჩერებულია.

დაზარალებულებს დახმარებას პრეზიდენტიც დაჰპირდა. იგი ამგვარი განცხადებებით კვებავდა ფერმერებს როგორც აღზევების, ასევე დაღმასვლის პერიოდში, თუმცა, უშედეგოდ.

სოფლის მეურნეობის კორპორაცია, რომელიც ისევ ძველი კადრებითაა დაკომპლექტებული თავისსავე ჩადენილ შეცდომასა თუ დანაშაულს არ აღიარებს და ჯოხის გადატეხვას ფერმერებსა და გლეხებზე ცდილობს — ის ფერმერები დაზარალდნენ, რომლებმაც აგროვადები არ დაიცვესო. სწორედ ამ კორპორაციამ უზრუნველყო წინა ხელისუფლების დროს ჰიბრიდული სიმინდის იმპორტი. ამის გამოა, რომ ეს სტრუქტურა გაკეთებულს დადებითად აფასებს და მას წარმატებულად თვლის. მაშ, რა ვუყოთ ლაბორატორიულ დასკვნას, რომლის მიხედვითაც თესლი ფალსიფიცირებულია?!

ამ კორპორაციის უმთავრესი „ნამოღვაწარი" ის არის, რომ დღეს დაზარალებულთა უმეტესობა ბანკების ვალებს იხდის, რამდენიმეს სახლი გაუყიდეს, ზოგიერთს მიწაც წაართვეს!

იურისტები გაკვირვებას ვერ მალავენ — გამოიკვეთა დანაშაულთა მთელი წყება, იძულებით სხვისი ქონების გასხვისება, ფასებით მანიპულირება, მოტყუება, ფალსიფიცირება — ამას კი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური იძულებითა და მოტყუებით გაჭირვებაში ჩავარდნილთ გულხელდაკრეფილი, არხეინად შესცქერის...

**ზაზა ბილიხოძე**

# ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| | | |
|---|---|---|
| **ობიექტი № 1** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) გამომუშავების მომენტისთვის უნდა შედგეს ობიექტის ტოპოგეგმა;<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. თამარისის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხრამზე „ხრამის" ქვიშა, ხრეშის (უბანი თამარისი) საბადო (კატეგორია – $C_1+C_2$ მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა – 166 200 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. თამარისის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 22 285 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2 228,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 4 657 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 09 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 09 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 09 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 09 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 2** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) გამომუშავების მომენტისთვის უნდა შედგეს ობიექტის ტოპოგეგმა;<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. რუსთავის ტერიტორია, მდ. მტკვარზე „რუსთავის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 91 800 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. კოტიშის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 6 509 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 650,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1502 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 09 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 09 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 09 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 09 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 4 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 |
| | | კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 18** | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს საფეხურებრივად, მაღალი ჰიფსომეტრიული ნიშნულიდან დაბალისაკენ, მოქმედი ტექნიკური უსაფრთხოების წესების და ნორმების დაცვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ექსპლუატაციის შემდგომ ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) გამომუშავების მომენტისთვის უნდა შედგეს ობიექტის ტოპოგეგმა;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქარიანის მიმდებარე ტერიტორია, „ქარიანის" ვულკანური ფერფლის საბადო (კატეგორია - B+C₂, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 217 500 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქარიანის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 34 340 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3 434 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 7 068 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 09 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 09 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 09 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 09 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 19** | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) გამომუშავების მომენტისთვის უნდა შედგეს ობიექტის ტოპოგეგმა;<br>ბ) ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში არ უნდა მოხდეს ნაპირსამაგრი ნაგებობის დაზიანება და გათვალისწინებული უნდა იქნას მდინარის ღვარცოფული ხასიათი;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის | გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახაშენის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ჭერმისხევზე, |
| | კონკრეტული ობიექტი | „ჭერმისხევის" ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - C₁, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 29 700 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახაშენის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 4 828 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 482,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 166 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 09 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 09 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 09 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 09 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 20** | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა |

| | | |
|---|---|---|
| | | საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაცია. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) უნდა განხორციელდეს ჭაბურღილის შემოღობვა;<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის | ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. N17 (ნაკვეთი 3/18) მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, |
| | კონკრეტული ობიექტი | კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 127 750 მ³ წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. N17 (ნაკვეთი 3/18) |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 4 129 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 412,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 1 026 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 09 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 09 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 09 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 09 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 21**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) გამომუშავების მომენტისთვის უნდა შედგეს ობიექტის ტოპოგეგმა;<br>ბ) ობიექტის ექსპლუატაციის გათვალისწინებული უნდა იქნას მდინარის ღვარცოფული ხასიათი;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზეგაანი, მდ. ჭერმისხევზე, „ჭერმისხევის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 6 200 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზეგაანი |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 1 078 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 107,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 416 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 09 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 09 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 09 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 09 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 22**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| | ლიცენზიის სახე | |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) გამომუშავების მომენტისთვის უნდა შედგეს ობიექტის ტოპოგეგმა;<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. დუზაგრამა, მდ. იორზე ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 49 800 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. დუზაგრამა |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 7 109 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 710,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 1 622 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 09 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 09 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 09 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 09 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 4 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**კალათბურთი**

# მართლდება შიშნარევი პროგნოზი?

**სამწუხაროდ, ალბათ, კი.**

**თუმცა, ვიდრე სათაურში დასმული კითხვის საპასუხოდ დავასველებდეთ სიტყვას, თვით მისი გაჩენის საბაბსაც შევეხოთ.**

**მოგეხსენებათ, 4 სექტემბერს სლოვენიაში ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატის ფინალური ტურნირი იწყება, სადაც საქართველოს ნაკრებს ტრავმირებული ლიდერების ზაზა ფაჩულიასა და თორნიკე შენგელიას გარეშე მოუწევს თამაში.**



ასეთ ფორსმაჟორულ ვითარებაში იგორ კოკოშკოვსა და მის შტაბს, ბუნებრივია, ასჯერ გაზომვა და ერთხელ გაჭრა მართებდა სრულფასოვანი სასელექციო პოლიტიკის განსახორციელებლად, მაგრამ, ეტყობა, ბეწვის ხიდზე უზიგზაგოდ გავლა მის შესაძლებლობებს აღემატებოდა, რაც იტალიაში დაწყებულ ოთხთა საერთაშორისო მოსამზადებელ ტურნირში მასპინძლებთან გამართულმა სადებიუტო შეხვედრამ დაადასტურა, რომელშიც პირწმინდად დავიჩაგრეთ — 69:85.

რადგან წერილის შესავალში ტანმაღალი თავდამსხმელების დეფიციტთან დაკავშირებულ საკადრო პრობლემებზე გავამახვილეთ ყურადღება, უპირველესად, სწორედ ამ პოზიციაზე შექმნილ სიტუაციას გავუსვათ ხაზი. ერთი შეხედვით, საგანგაშო არაფერია — გუნდის კაპიტნის არყოფნაში სასტარტო ხუთეულში დამკვიდრებული გიორგი შერმადინი პარტნიორებს 18 ქულით, 12 მოხსნითა და 1 დაფარებით შეეწია, მაგრამ იმ ფაქტს, რომ „ჯვაროსანთა“ ნატურალიზებულმა ამერიკელმა ახალწვეულმა ლუკ ზელერმა სარბიელი უქულოდ დატოვა, დადებითს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. და ეს მაშინ, როცა მომავალი ფორუმის განაცხადს მიღმა დარჩნენ ეროვნული ჩემპიონატის (იგივე სუპერლიგის) გამორჩეული გიგანტები ათუაშვილი (იგი, სხვათა შორის, ზუსტი სამქულიანებითაც ბომბავს მეტოქის კალათს), შარაბიძე და მათიაშვილი.

კიდევ უფრო ბუნდოვნად გვესახება უკანახაზელთა პერსპექტივები, რაც აპენინელებთან უთანასწორო ბრძოლაში ანატოლი ბოისას პირველივე წუთიდან ჩაბმამ განამტკიცა. დიახ, უკვე მერამდენედ, გვიწევს გაკვირვებისაგან მხრების აჩეჩვა — ნუთუ ქართულ კალათბურთში მართლაც დამსახურებული უფროსი ძმის ფაქტორი მისი დედმამიშვილის კულტის წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს?

რაც შეეხება ძველ გვარდიას — ცინცაძე სტაბილურობის განსახიერება არასოდეს ყოფილა, ხოლო მარკოიშვილს ამჯერად ტყორცნები არ წაუვიდა და კაცმა არ იცის, როგორ გამონახავენ ისინი საერთო ენას კიდევ ერთ გაქართველებულ ოკეანისგაღმელთან რიკი ჰიკმანთან, რომელიც „სკუადრა აძურასთან“ ჩვენებურთა ბღლარძუნს სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალს.

და კიდევ: როცა სამშობლოში დარჩნენ გამყრელიძე, ფარღალავა, ჩიკვილაძე, როგავა და ბოქოლიშვილი, ისინი, ვისაც ნდობა გამოუცხადეს, გაცილებით მეტ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდნენ.

**გია პლატონიშვილი**

**ვენდეტა**

# ჟოზეს მაიამიში უსტვინეს

**აშშ-ში „გინესის ჩემპიონთა თასის“ გათამაშება დამთავრდა. მართალია, ტურნირი ამხანაგურია, მაგრამ ამ დღეებში საფეხბურთო სამყაროს ყურადღება სწორედ ოკეანისგაღმა იყო მიმართული.**

მაიამის სტადიონზე მისულ გულშემატკივართა უმრავლესობა ლათინოსები იყვნენ და, ცხადია, მადრიდელებს ქომაგობდნენ. ისინი გამაყრუებელი სტვენით შეხვდნენ მინდორზე ჟოზე მოურინიოს გამოჩენას. ვერ პატიობენ, „რეალიდან“ რომ წავიდა. ბრიტანელი მიმომხილველი სემ მოკბელი წერს, სტადიონზე ისეთი ატმოსფერო იყო, თითქოს გუნდები „რეალის“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ თამაშობდნენო.

ამ ზაფხულს „არისტოკრატთა“ შემადგენლობაში პირველად გამოჩნდა „ბებერი“ ფრენკ ლამპარდი, რომელსაც აქილევსის მყესი სტკიოდა და აქამდე ყველა საკონტროლო მატჩი გამოტოვა.





© AFP/Getty Images

მან მხოლოდ პირველ ტაიმში ითამაშა, თუმცა ბრიტანელი მიმომხილველების აზრით, საკმაოდ თამამი განაცხადი გააკეთა 18 აგვისტოს, პრემიერლიგის პირველ ტურში „ჰალ სიტისთან“ სათამაშოდ. სამაგიეროდ, კვლავ არ ჩანს დავიდ ლუიზი, რომელსაც მუხლის პრობლემა ჰქონია.

შეგახსენებთ, რომ მასზე პრეტენზია „ბარსელონას“ ჰქონდა და 34,5 მილიონ გირვანქა სტერლინგსაც იხდიდა, თუმცა ლონდონელებმა უარი შეუთვალეს.

პირველი ნახევარი საათი დაახლოებით თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა და ანგარიშიც 1:1 იყო. შემდეგ კი მადრიდელებმა ნელ-ნელა მოიპოვეს უპირატესობა, ბურთზე კონტროლი დააწესეს და მოწინააღმდეგეც მარწუხებში მოექცა. განსაკუთრებით კარგად კრიშტიანუ რონალდუ ირჯებოდა. პირველი გოლი 31-ე წუთზე გავიდა, როცა პორტუგალიელმა დაახლოებით 27 მეტრიდან ულამაზესი საჯარიმო გაუტანა ჩეხს მარცხენა ცხრიანში. მოგვიანებით კი არანაკლებ ეფექტური თავურით დააფიქსირა საბოლოო ანგარიში — 3:1.

ამრიგად, „რეალმა“ სეზონის პირველი ჯილდო მოიგო. გუშინვე ორიოდ საათით ადრე მაიამიში მესამე ადგილისთვის მატჩი გაიმართა, რომელშიც იტალიურმა „მილანმა“ მარიო ბალოტელისა და მბაიე ნიანგის გოლებით 2:0 დაამარცხა „ლოს ანჯელეს გელექსი“.

**მანუჩარ გიორგაძე**

**რაგბი**

# გორგოძეს 2 თვე გაუცდება



**საქართველოს ეროვნული სარაგბო ნაკრების და ფრანგული „მონპელიეს“ ერთ-ერთმა ლიდერმა მამუკა გორგოძემ ტრავმა მიიღო, რის გამოც დაახლოებით 2 თვე გაუცდება. კლუბის ოფიციალური განცხადების თანახმად, „გორგოძილამ“ ფეხის კუნთი ვარჯიშზე დაიშავა და ახლა იძულებითი უქმობა მოუწევს.**

ცხადია, რომ გორგოძე დაკლდება საფრანგეთის ჩემპიონატის გახსნის მატჩს, რომელიც 16 აგვისტოს „ტულონის“ წინააღმდეგაა დაგეგმილი. ამას გარდა, მამუკა „ბიარიცთან“, „ბრივთან“, „ბორდოსთან“, „ტულუზთან“, „პერპინიანთან“, „კლერმონთან“ და „სტად ფრანსესთან“ შეხვედრებსაც გამოტოვებს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

**სეზონის წინ**

# ერდოღანის საყვარელი კლუბი და შოთა

**თურქული სუპერლიგა 16 აგვისტოს იწყება, მანამდე კი შოთა არველაძის „ქასიმფაშა“ მზადებას აგრძელებს და მწვრთნელი კმაყოფილია: გუნდში რამდენიმე**



**ახალი ფეხბურთელი მიიყვანა, რომელთა შორის გამორჩეულია რაიან ბაბელი. ჰოლანდიელ შემტევზე არველაძე განსაკუთრებულ იმედს ამყარებს.**

„ჩვენი მიზანია, გუნდი უფრო სტაბილური გახდეს. მოსამზადებელ პერიოდში ფეხბურთელების მხრივ დანაკლისი არ გვქონია. როგორც თურქეთში, ასევე საზღვარგარეთაც კარგად მოვემზადეთ“.

არველაძემ ასევე ხაზი გაუსვა, რომ ლეგიონერები აძლიერებენ და, ასევე, ხიბლს მატებენ თურქულ გუნდებს. საქმე ისაა, რომ თურქეთში ბევრი საუბარია უცხოელ ფეხბურთელთა მოჭარბებაზე. შოთამ აღნიშნა, რომ როდესაც თურქეთში ლეგიონერები არ იყვნენ, ან ძალიან ცოტანი იყვნენ, ვერც ნაკრები აღწევდა წარმატებას და ვერც კლუბები.

ცნობისთვის, „ქასიმფაშა“ თურქეთის პრემიერ-მინისტრის რეჯეფ თაიფ ერდოღანის საყვარელი კლუბია.

თურქული სუპერლიგის 18 კლუბიდან 5-ს უცხოელი წვრთნის. განსაკუთრებით ელიან, თუ როგორ წარმოაჩენს თავს ახალ ამპლუაში ლეგენდარული ბრაზილიელი რობერტო კარლოსი — „სივასსფორის“ თავკაცი.

**გიორგი შოთაძე**

**ინტერნეტიდან**

# მარადონას წარსულის კუბური შტრიხები

**ამერიკის შეერთებულ შტატებში გაქცეულმა კუბელმა ემიგრანტმა, ვინმე ხავიერ პალასიომ გამოაქვეყნა ავტობიოგრაფიული წიგნი, სადაც კუბაში მისი ცხოვრების პერიოდია აღწერილი, როდესაც სენიორ ხავიერი ფიდელ კასტროს რეჟიმს პოლიციელის მუნდირით იცავდა.**

ყოფილი პოლიციელი წერს, რომ ლეგენდარული არგენტინელი ფეხბურთელი დიეგო მარადონა კუბას ფეხბურთელობის დროსაც ხშირად სტუმრობდა და მისი განარკომანება სწორედ კუბიდან დაიწყო, სადაც სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალება „ჩეჩქივით“ ეყარა.



ხავიერ პალასიო ასევე იხსენებს იმასაც, რომ კუბელ პოლიციელებს, რომლებსაც მარადონას ვილის დაცვა უწევდათ, ხშირად უნახავთ მთვრალი ანდა ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფი არგენტინელი ფეხბურთელი, ვინც ათასგვარ სისულელეს სჩადიოდა ხოლმე. ცხადია, რომ მარადონას წარსულის ბნელი მხარეების გამოაშკარავების ეს მორიგი მცდელობა თავად დონ დიეგოს არ გაუხარდება...

**როსტომ რაჭველიშვილი**

## ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა

# თავისუფალი ბაზრის დიქტატურის მოლოდინი

**რაც დრო გადის და „ქართული ოცნების" ბევრი წინასაარჩევნო დაპირების შესრულება ჭიანურდება, მით მეტი საყვედურის თქმის საბაბი ეძლევათ როგორც საპარლამენტო, ისე გარეთ დარჩენილ პოლიტიკურ ოპონენტებს. ყველა სხვა, უფრო მეტად ყოფით საკითხს თავი რომ დავანებოთ, ამ ჯერზე ყურადღებას ეროვნული ეკონომიკისთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე შევაჩერებთ, როგორიცაა ქვეყანაში მეწარმეობისთვის, უწინარესად საშუალო ბიზნესისთვის თავისუფალი ასპარეზის მიცემა, რაშიც ერთ-ერთი წამყვანი როლი ანტიმონოპოლიური საკანონმდებლო ბაზის შექმნას და, რაც მთავარია, მის რეალურად ამოქმედებას ენიჭება. საშუალო ბიზნესს ამ შემთხვევაში იმიტომ გამოვყოფთ, რომ დიდ კომპანიებს ბაზარზე დამკვიდრებისა და კონკურენტებთან ბრძოლის მეტი რესურსი აქვთ, მცირე მეწარმეები კი დომინანტი კომპანიებისთვის არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენენ. ამდენად, მონოპოლიური უსამართლობის მსხვერპლი, უმეტესწილად, სწორედ საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები ხდებიან, რომლებიც საშუალო ფენის, გეოლოგიური ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, „ქანთმშენ მინერალს" წარმოადგენენ. უამფენოდ კი წარმატებული, დემოკრატიასთან მაქსიმალურად მიახლოებული საზოგადოების ჩამოყალიბება, ფაქტობრივად, შეუძლებელია.**

ქმედითი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შექმნასთან დაკავშირებით, ბოლო თვეების მოვლენათა განვითარებას თუ გავიხსენებთ, ძირითადი სამუშაო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შეასრულა. წლეულს თებერვალში პარლამენტის სხდომაზე გადაწყდა, რომ „კონკურენციისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ კანონში" სათანადო ცვლილებები მარტის დამლევამდე შესულიყო, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო პროცესი შეფერხდა, სამინისტრომ კანონპროექტი პარლამენტში განსახილველად და სათანადო პროცედურების გასავლელად არ წარადგინა და თუკი ლამის კარს მომდგარ საპრეზიდენტო არჩევნებს და ქვეყანაში პოლიტიკურ ვნებათაღელვას გავითვალისწინებთ, უკეთეს შემთხვევაში ეს შემოდგომაზე მოხდება. აქედან გამომდინარე, რეალურად როდის ამოქმედდება ახალი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, ამას მის შესრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოს, ანუ კონკურენციის სააგენტოს რეორგანიზაციამდე, შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მიღებამდე, ზუსტად, ალბათ, ვერავინ იტყვის.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ფაქტობრივი უქონლობა, მისი როლის უგულებელყოფა ყველაზე მტკივნეულად საშუალო კომპანიებზე აისახება, თუმცა კი, **ბიზნესომბუდსმენ გიორგი გახარიას აზრით, ქართული ბიზნესის ძირითადი პრობლემა არა კომპანიების სიდიდეა, არამედ კომპეტენციის საკითხი, ბაზრის სიმცირე, ასევე ქვეყნის შიგნით დაბალი მყიდველობითუნარიანობა. კომპეტენციის საკითხს თავი რომ დავანებოთ, რომელიც ყველა კონკრეტულ მაგალითთან მიმართებაში ცალკე მსჯელობის საგანია, ქვეყნის შიგნით ბაზარს ვერავინ გაგვიზრდის, ხოლო, რაც შეეხება დაბალ მყიდველუნარიანობას, იგი ისევ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზეა დამოკიდებული, რომელიც სამეწარმეო ძალების განვითარებისა და ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის არარსებობის პირობებში ვერ ამაღლდება,** რასაც არაერთი ექსპერტი ხაზგასმით აღნიშნავს. ამდენად, რა გამოდის, რომ მონუსხულ წრეში ვართ?

რა თქმა უნდა, არა.

საქმე ისაა, რომ დაბალი მყიდველუნარიანობა სწორედ ბაზარზე კონკურენტული გარემოს დამახინჯების, მისი დარღვევის შედეგია, რის შედეგად, ვთქვათ, შემოსავლის არათანაბრად განაწილებასთან, პროდუქციის დაბალ ხარისხთან და სხვასთან ერთად, სამომხმარებლო ფასები იზრდება, რაც უკუქმედების პრინციპით ისევ სამომხმარებლო მყიდველუნარიანობაზე აისახება.

თავისთავად თავისუფალი კონკურენცია ნებისმიერი, მით უმეტეს რამდენადმე დიდი ბიზნესის უპირველესი და უმძლავრესი სტიმულატორია, რომელიც პროდუქციისა თუ მომსახურების მწარმოებელს მუდამ ფხიზლად ყოფნას აიძულებს, რაც **წარმოებაში ახალი ტექნოლოგიების თუ მომსახურების სახეობების შემოღებას, ხარისხის ამაღლებას, საამისოდ შიდა რეზერვების გამონახვასა და, ამავდროულად, ფასების შემცირებას უკარნახებს.** თავისუფალ ბაზარზე ჯანსაღი კონკურენცია თავად სახელმწიფოსთვისაც უწინარეს ინტერესთა სფეროში შედის, რადგან მაღალი ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ფასების პარალელურად ის მოსახლეობის მატერიალურ-სოციალურ მდგომარეობაზეც აისახება, ხალხის ყოფის გაუმჯობესება და მის კეთილდღეობაზე ზრუნვა კი ყველა მთავრობის უპირველესი ამოცანაა. ყოველ შემთხვევაში ასე უნდა იყოს. საქართველოში კი, ფაქტობრივად, ყველა ბაზრის მონოპოლიზაცია ან მისი ოლიგოპოლიზაცია (რაც, არსებითად, კარტელური შეთანხმებების შედეგია) ყოველივე ამის გზაზე ლამის გადაულახავ ბარიერებს ქმნის.

ამდენად, თავისუფალ ეკონომიკურ ურთიერთობათა არსებობის მიუხედავად, **სახელმწიფო აუცილებლად უნდა აკონტროლებდეს თავისუფალი ბაზრის უპირველესი პირობის — ჯანსაღი კონკურენციის მექანიზმების გამართულ მუშაობას, ზოგჯერ კი სულაც გარკვეულ სანქციებს მიმართოს დამრღვევ სუბიექტთა მიმართ.** საამისოდ კი მას აუცილებლად სჭირდება მყარი, გონივრულად გააზრებული საკანონმდებლო ბაზა. იმ პირობებში, როცა მმართველი კოალიციის პოლიტიკური ოპონენტები ქვეყანაში ეკონომიკურ ჩავარდნაზე, მის რეცესიაზე აპელირებენ, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ჯეროვნად გამართვა და ეფექტიანად ამოქმედება ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა, რისი შედეგი უთუოდ აისახება როგორც მეწარმეებზე, ისე მოსახლეობის მდგომარეობაზეც. თუმცა, ცხადია არამყისიერად.

**ოთარ ტურაბელიძე**

## წათაქებანი

# ფარისევლობა ნაცურად

**იმ აგვისტოს სამარცხვინო 5 დღის ხუთი წლისთავი ნაცებმა კიდევ ერთხელ საპიაროდ აქციეს, მეტადრე ერთმა, ამჟამად საპრეზიდენტოდ ატეხილმა (ისე, „აგვისტოს 5 დღეც", როგორც ამერიკული მხატვრული ფილმი, სამარცხვინო გამოვიდა, ამერიკელთათვის მილიონობით დოლარის შეტენვის ფასად გადაღებული).**



იგივე ერთი, საპრეზიდენტოდ ატეხილი ლიდერი საპარლამენტო უმწირესობისა, 8 აგვისტოს დაღუპულთა სასაფლაოზე საპიაროდ მისული (ის უაზროდ დაღუპულები ნათელში ამყოფოს უფალმა), იქიდან ირწმუნებოდა: იმ ომის დროს მთავრობა ხალხთან, არმიასთან ერთად იყო და ჩვენი სახელმწიფოებრიობა ასე გადავარჩინეთო!

იმდენი ბებიის ბებია გიცხონდა, დავით ბაქრაძევ, რაც შენ და შენი თანანაცელები მაშინ არმიასთან და ხალხთან იყავით. ეგებ ხალხთან ყოფნა შენი „ისტორიული" მოწოდება გგონია — თეფშებით, ტაფებით, დანებით და ჩანგლებით შეიარაღდით და მომხდურს ისე დახვდით საბრძოლველადო; იქნებ ხალხთან და არმიასთან ყოფნა აზერბაიჯანში გადამავალ წითელ ხიდთან შენს თანაგაქცეულებთან ერთად თვალუწვდენ რიგში დგომაც გგონია საზღვარგარეთ გასალალად...

სხვა თემები შეარჩიე წინასაარჩევო კამპანიაში ავტოპროპაგანდისათვის, მუზმუზელა ყვარყვარევ!

**ბერდია ბედოიძე**

# ინფორმაცია საჯარო განხილვის შესახებ

**საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი დაინტერესებული მხარეების საყურადღებოდ აცხადებს, რომ 2013 წლის 15 აგვისტოს ხუთშაბათს 12:00 საათზე თიანეთის რაიონის მუნიციპალიტეტის დაბა სიონის ტერიტორიული ორგანოს გამგეობის შენობაში დაგეგმილია სასადილო-სიონის 27 კმ-იანი მონაკვეთის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.**

გზშ პროექტი და არატექნიკური რეზიუმე ხელმისაწვდომია:

- თიანეთის რაიონის მუნიციპალიტეტის დაბა სიონის ტერიტორიული ორგანოს გამგეობაში (გზშ-ს ანგარიშის ამობეჭდილი ვერსია);
- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე: www.georoad.ge

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მითითებულ საკონტაქტო პირებს ლუიზა ბუბაშვილს, ტელ: 595219141 www.likabubashvili@yahoo.com

**შენიშვნების მიღების ბოლო ვადაა 2013 წლის 14 აგვისტო.**

## დემოკრატია ყველას გვაერთიანებს

# მიეძღვნა გეორგიევსკის ტრაქტატს

**2013 წლის 4 აგვისტოს ქ.თბილისში ი. სტალინის სახელობის ავლაბრის არალეგალური სტამბა-მუზეუმის სააქტო დარბაზში საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ინიციატივით გაიმართა გეორგიევსკის ტრაქტატის 230-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია.**

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ძირითადად მემარცხენე პოლიტიკური სპექტრიდან.

კონფერენცია გახსნა და მის მუშაობას ხელმძღვანელობდა სეკპის იდეოლოგიური მდივანი ბ. კაკაბაძე.

მომხსენებელი სეკპ-ის წევრი თეიმურაზ მირიანაშვილი.

თანამომხსენებლები ხალხთა მეგობრობის პარტიის ლიდერი მორისონ ქობულია და მწერალი ტარიელ მუმლაძე.

სიტყვაში გამოვიდნენ მემარცხენე-სოციალისტური მოძრაობის წევრი დ. მოსულიშვილი, მშრომელთა საბჭოს წევრი თ.ხუნაშვილი, სოციალისტური სამართლიანობის კავშირის ლიდერი ა. იოსელიანი, მოქალაქე გ. კუპატაძე, სეკპ-ის ცკ-ის წევრები: გ.სიხარულიძე და ო.დანელია.

კონფერენციის ძირითადი პათოსი იყო ის, რომ მომხსენებელთა და სიტყვაში გამომსვლელთა უმრავლესობა დადებითად აფასებს გეორგიევსკის ტრაქტატის მნიშვნელობას საქართველოს ისტორიაში, თუმცა, იყო განსხვავებული აზრებიც.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატმა, საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ნუგზარ ავალიანმა.

კონფერენციამ საქმიან ვითარებაში ჩაიარა.

მონაწილეებმა მიიღეს მიმართვის ტექსტი საქართველოს პარლამენტისა და მთავრობისადმი!

**სეკპ-ის საინფორმაციო სამსახური**

## დაიჯესტი

# სუპერამოფრქვევა: რეალობა და საფრთხე

**ამერიკის შეერთებული შტატების იელოუსთოუნის ეროვნულ პარკში უზარმაზარი ვულკანური კალდერა მდებარეობს — ესაა 70X50 კილომეტრის ზომის (!) ღრმული, რომელიც უძლიერესი მიწისქვეშა ამოფრქვევების დროს წარმოიშვა.**

სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს არის ვულკანის ჩავარდნილი ყელი, რომელსაც უკვე დიდი ხანია იელოუსთოუნის სუპერვულკანს უწოდებენ. ეს ვულკანი ბოლო 600 ათასი წლის მანძილზე არ ამოფრქვეულა, მაგრამ გეოლოგები მას მოქმედად მიიჩნევენ. ბოლო რამდენიმე წელია მიწის ქერქმა კალდერის ზოგიერთ ადგილას აწევა დაიწყო, რაც პრესაში მთელი რიგი პუბლიკაციის საბაბად იქცა, სადაც ლაპარაკი იმის თაობაზე იყო, რომ ვულკანი მორიგი ამოფრქვევისთვის ემზადება. თუკი ეს მართლა ასე მოხდება, ატმოსფეროში ათასობით კუბური კილომეტრი ფერფლი გაიფრქვევა, რასაც „ბირთვული ზამთარი" და მთელ მსოფლიოში აცივება მოყვება, დედამიწაზე გოგირდიანი წვიმები მოვა, მცენარეთა და ცხოველთა უამრავი სახეობა გაქრება, ადამიანთა რიცხოვნობა კი, შესაძლოა, რამდენიმე ასეულ ათასამდე შემცირდეს. მეცნიერთა აზრით, ასეთი რამ ჰომო საპიენსის არსებობის მანძილზე არაერთხელ მომხდარა.



— მთლიანად დედამიწაზე 20 სუპერვულკანია, ხოლო რაც შეეხება კონკრეტულად იელოუსთოუნის ვულკანს, უახლოეს მომავალში მისი ამოფრქვევა ნაკლებადაა სავარაუდო, ყოველ შემთხვევაში ალბათობის თეორიით ეს ასეა, — ამბობს გლობალური რისკების მკვლევარი, ფუტუროლოგი ალექსი ტურჩინი. — მაგრამ თუკი მომავალში გლობალური ბირთვული ომი დაიწყება, მაშინ მავანმა შესაძლოა, ამ ვულკანის ხელოვნურად აფეთქება სცადოს მეგატონური კლასის რამდენიმე ბირთვული საბრძოლო მუხტით მაგმის საკნის სახურავზე იერიშის მიტანით. ტერორისტების მიერ წყალბადის ბომბის ყველაზე სახიფათო გამოყენების ექვსი მეთოდია ცნობილი და სწორედ სუპერვულკანზე იერიშის მიტანაა მათ შორის ყველაზე საშიში.

# ფინჯანი ჩაი: მოაშორეთ, ეგ ჩაი!

**ჩაის ზედმეტმა სმამ შესაძლოა... პროსტატის კიბო გამოიწვიოს — ეს დასკვნა შოტლანდიელმა მეცნიერებმა გამოიტანეს, რომლებიც 37 წლის მანძილზე 6 ათასი მოხალისის ჯანმრთელობას აკვირდებოდნენ.**

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ მამაკაცები, ვინც დღეში შვიდ ფინჯანზე მეტ ჩაის სვამს, პროსტატის კიბოთი ერთნახევარჯერ უფრო ხშირად ავადდებიან, ვიდრე ისინი, ვინც ჩაის დღეში ოთხ ფინჯანზე მეტს არ სვამს.

# ყველაფერს თავისი დრო აქვს

**მოზარდების აქსელერაციამ ბევრი თავსატეხი გაუჩინა მშობლებსაც და ექიმებსაც. როგორ უნდა გაიგოს მშობელმა, რომ შვილს სპეციალისტის დახმარება სჭირდება?**

მეანობის, გინეკოლოგიისა და პერინატოლოგიის სამეცნიერო ცენტრის პროფესორის ელენე უვაროვას აზრით, ადრეული სქესობრივი მოწიფულობა — საკმაოდ მძიმე პრობლემაა.

— საქმე ხომ ზოგჯერ სამი წლის გოგონებს ეხება, რომლებსაც ზრდასრული ქალის ყველა ნიშანი აქვთ — მკერდი და ა.შ. ამიტომ, თუ შვიდ წლამდე გოგონას სარძევე ჯირკვლები გაზრდილი აქვს და იღლიებში ბალანი ეზრდება — ეს ასპროცენტიანი მიზეზია საიმისოდ, რომ ექიმს მიმართოთ (ბიჭებში ეს ასაკთან შეფარდებულად დიდი სასქესო ორგანოა და სხვ.). ასევე სასწრაფოდაა განგაში ასატეხი, თუკი ბავშვი განვითარებით თანატოლების ძალიან გასწრებას იწყებს.

### კოლეგები შაიბნენ...

# „ჩემო კოკა, ვიწყებ შენს მხილებას და არა მარტო შენსას“...



**ჟურნალისტი ირმა ინაშვილი პრემიერ-მინისტრის მრჩეველს კოკა ყანდიაშვილს მიმართავს. განცხადებას, .რომელიც ირმა ინაშვილმა ფეისბუქის საკუთარ გვერდზე გაავრცელა, უცვლელად გთავაზობთ:**

— „ახლა ველოდები, რას მოიფიქრებს ახალი ხელისუფლების „პიარ-გენიოსი“ კოკა ყანდიაშვილი. როგორ გაამართლებს კბილაშვილის უუნარობას, როგორ წარმოაჩენს რეფორმატორად კუბლაშვილს. როგორ გამოაცხადებს ქართული დემოკრატიის ზეიმად ახალაიას მოსალოდნელ გათავისუფლებას? როგორ დაგვარწმუნებს, რომ ჩვენ შეურაცხყოფილები კი არა, ბედნიერები ვართ. როგორ დაბლოკავენ მედია- სივრცეში 11 აგვისტოს აქციის თემას და მოთხოვნებს, რა მორიგ მზაკვრობას მოუმზადებს „ობიექტივს“ და... პირადად მე 8-თვიანი უზნეობა, უსინდისობა, დაუნახაობა, უმადურობა და არაკაცობა ქრისტიანულად ავიტანე.

ახლა, ბრიუსელიდან რომ დავბრუნდები, ჩემო კოკა, ვიწყებ შენს მხილებას და არა მარტო შენსას... თქვენ ლახავთ ივანიშვილის სახელს თბილისშიც, ბრიუსელშიც და სტრასბურგშიც. თქვენ უგებთ ამ კაცს მახეს. ამიტომ მხილება იქნება თბილისშიც, ბრიუსელშიც და სტრასბურგშიც. ველოდები, რომ შემომითვლი, — ჩვენ ხომ დიდი ხნის მეგობრები ვართო. მე არაფერ შუაში ვარო... მიყვარხარ და ვგიჟდები შენზეო... არაფერი მეგობრები არა ვართ. მე 9 წელი ვიბრძოდი და შენ 9 წელი ბუჩქებში იჯექი. ხან კუბაში და ხან უკრაინაში. მე რაც მებადა, ყველაფერი გავყიდე და ამ ბრძოლას შევწირე. მიტინგებზე დიდი დილმიდან ფეხით დავდიოდი, ტირილით... შენ კი, ბუჩქებიდან პროფესორობდი. ახლა ჩამობრძანდი, სახელმწიფოს პიარს მოაჯექი, ჩემნაირების მოპოვებული გამარჯვებით სარგებლობ და თანამდებობით მოცემულ ადმინისტრაციულ და ფინანსურ ბერკეტებს ჩემნაირებისვე ფურთხებისა და ბლოკირებისთვის იყენებ. ჩემი განადგურება დაგისახავთ მიზნად?!



გეუბნები: ვინც არ უნდა მთხოვოს, არ დაგინდობ. რაც შემეძლო, რაც მებადა, ყველაფერი შევალიე და სააკაშვილის დამხობაში ჩემი წვლილი შევიტანე. ახლაც არაფერს არ დავიშურებ. მტრობა როგორი უნდა, გაჩვენებ. სხვებისთვის სამაგალითოდ დაგსჯი. 12 აგვისტოდან ყურადღებით უყურე (შენი აზრით, არარეიტინგულ) „ობიექტივს“...

**მოამზადა**
**ნატა ნიბლაძე**

### ჩვენი პრესდაიჯესტი

## ჟურნალ-გაზეთებიდან



#### „რუსებს ოკუპანტობა აღარ უნდათ“

— ამბობს ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე, — დიმიტრი მედვედევის ინტერვიუში ახალი არაფერი თქმულა, გარდა იმისა, რომ უახლოეს მომავალში რუსეთთან შესაძლოა გარკვეული ურთიერთობები შეიცვალოს. ჩემთვის ძალიან საინტერესოა „რუსთავი-2“-ისათვის დიმიტრი მედვედევის ინტერვიუ. მე იმის თქმა დღეს ნამდვილად არ შემიძლია, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ჩააწყო, თუმცა ფაქტია, რომ ეს იყო რუსეთის ხელისუფლების მხრიდან კიდევ ერთი ჟესტი. ერთი, რაც იყო თქმული და იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი, ეს იყო ქართველი და აფხაზი და ქართველი და ოსი ხალხის უშუალო დიალოგის აუცილებლობა.

**„ახალი თაობა“**

#### ვის ასახელებენ ომის წამქეზებლად „ნაციონალების“ კულუარებში?

ომის მერე ბევრი რამე ამოტივტივდა ზედაპირზე, ბევრი ინფორმაცია გამოვიდა მიშას ხელისუფლების კულუარებიდან. მაგალითად ის, რომ 2008 წლის აგვისტოს ომამდე სააკაშვილის ირგვლივ შეკრებილნი იყვნენ ადამიანები, რომლებიც საომარი მოქმედების დაწყებისკენ უბიძგებდნენ. სახელდებიან გიგა ბოკერია, ვანო მერაბიშვილი, ეკა ტყეშელაშვილი, კახა ლომაია. ერთადერთი გამონაკლისი ყოფილა გელა ბეჟუაშვილი. ეს ადამიანები სააკაშვილს უმტკიცებდნენ, რუსები ჟანგიანი ტანკებით ომს ვერ მოიგებენო, ისინი სააკაშვილს ეუბნებოდნენ, ვიდრე ჯორჯ ბუში ამერიკის პრეზიდენტია, მომენტი უნდა გამოვიყენოთ და ომი დავიწყოთო.

**„ალია“**

#### ბანკებმა, შესაძლოა, კრედიტის გაცემისას ასაკობრივი ზღვარი დააწესონ

კომერციულმა ბანკებმა, შესაძლოა, კრედიტის გაცემასთან დაკავშირებით ასაკობრივი ზედა ზღვარი დააწესონ. ასეთი შემთხვევა უკვე მოხდა, ერთ-ერთ რესპონდენტს, ერთ-ერთ კომერციულ ბანკში სესხის გაცემაზე უარი მხოლოდ იმიტომ უთხრეს, რომ ის 55 წლისაა. მას განუმარტეს, რომ ახალი წესი აქვთ, რომლის მიხედვითაც 50 წელს გადაცილებული ადამიანებისთვის კრედიტის გაცემა არ ხდება, ეროვნულ ბანკში ამბობენ, რომ სესხის გაცემასთან დაკავშირებით ასაკობრივი შეზღუდვა არ არსებობს და ასეთი გადაწყვეტილება თუ მითითება მათ არ გაუციათ.

**„რეზონანსი“**

### სულიერება

# პანტელეიმონ მკურნალი

**9 აგვისტოს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს უდიდესი სამედიცინო მოღვაწის, წმინდა დიდმოწამე პანტელეიმონ მკურნალის ხსენებას, რომელიც დაიბადა ნიკომიდიაში მესამე საუკუნის მეორე ნახევარში.**

**უდიდესი სასულიერო მოღვაწეს ერმოლაოსს თავის თავზე აუღია პანტელეიმონ მკურნალის ქრისტიანულ ღირებულებებზე აღზრდა.**



საგულისხმოა, რომ წმინდა მკურნალ პანტელეიმონს საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი ცნობილი მედიკოსების ნაშრომები.

ქრისტიანული მოძღვრებით, ქრისტეს სახელით და საკუთარი გამოცდილებით კურნავდა პანტელეიმონ მკურნალი ავადმყოფებს.

პანტელეიმონ მკურნალი ავადმყოფებს ქრისტიანობას უქადაგებდა, რის გამოც ის დასაჯეს, თავი მოკვეთეს!

ქრისტეს აღმსრულებლობის მიზეზით მოწამეობრივად აღსრულებული პანტელეიმონი წმინდანად შერაცხეს.

საბურთალოზე, წმინდა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ტაძარში, განსაკუთრებული ზეიმით ხვდებიან ამ დღეს.

ტაძრის წინამძღვარი თავის მრევლთან ერთად, კვლავაც იღწვის ტაძრის განახლებისათვის; დეკანოზი დავითი (შენგელია) მზრუნველობას არ აკლებს მორწმუნეთა შეკრების ადგილს, დღითი დღე ლამაზდება მისი ინტერიერი და გარეთა ფასადიც.

...ამას წინათ მეც ვეწვიე მამა დავითს, მან, როგორც ყოველთვის დალოცა გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები და მისი მკითხველები, უსურვა ჯანის სიმრთელე და მშვიდობა...

**გიული ლიპარტია**

**შ ე ს წ ო რ ე ბ ა**

სს „ადო ჯორჯია მინინგის“ ბარიტის გამამდიდრებელი საწარმოს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის საჯარო განხილვის დანიშვნის თაობაზე, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 31 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ განცხადებაში შეტანილი იქნა შემდეგი ცვლილება:

საჯარო განხილვა გაიმართება 2013 წლის 30 სექტემბერს, 15 საათზე, ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ონი, დავით ალმაშენებლის მოედანი №1).

საზოგადოებასთან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა 2013 წლის 24 სექტემბრის 18 საათამდე.

სს „ადო ჯორჯია მინინგის“ ადმინისტრაცია

### ცინცხალი ანეკდოტები

— **იქნებ** შვებულებაში გამიშვათ, ჩემმა ცოლმა ბავშვი უნდა გააჩინოს, — ეუბნება ჯარისკაცი მეთაურს.

მეთაურმაც გაუშვა.

— აბა, როგორაა საქმე, ბიჭია თუ გოგო? — ეკითხება მეთაური ერთი კვირის შემდეგ შვებულებიდან დაბრუნებულ ჯარისკაცს.

— ამას, ცხრა თვის შემდეგ გავიგებ.

* * *

— **მომისმინე**, ხაიმ, ჩვენთან, ოდესაში აინშტაინი ჩამოდის!

— ჰო? ეს ვინ არის, ცნობილი აფთიაქარია?

— არა, ცნობილი ფიზიკოსია!

— და რა გამოიგონა?

— ფარდობითობის თეორია.

— მერე ამ თეორიის პურზე გადასმა შეიძლება?



— როგორ აგიხსნათ... მაგალითად, თუ სარასთან გაატარებ ღამეს, მთელი ეს ვნებიანი ღამე ერთ წამად მოგეჩვენება. ხოლო თუ შიშველი საჯდომით გავარვარებულ ქურაზე დაგსვამენ, ეს უმწარესი წამი მარადისობად წარმოგესახება.

— და იგი ამ ორი ნომრით გამოვა ჩვენთან, ოდესაში?

* * *

**ტიპი** შუაღამისას სარდაფიდან ამოსულმა ჩხავილმა გააღვიძა. ჩავიდა და ხედავს, რომ თაგვს იმისი კატა დაუჭერია და აუპატიურებს. გაბრაზებულმა ტიპმა ყელის ნაჭრით მიიტყუა თაგვი და დასჯის მიზნით თავის ბულდოგს მიუგდო. თაგვმა ძაღლიც გააუპატიურა.

გაოგნებულმა კაცმა თაგვი ბინაში აიყვანა, ცოლს ვაჩვენებო. მის დანახვაზე ცოლი აკივლდა.

— მოაშორე აქაურობას ეს სექსუალური მანიაკი, ესა!

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

### კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მორიგე პასუხისმგებელი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
299-62-77;
599 36-00-35

რედაქტორთა საბჭო:
ალეკო ასლანიშვილი 599 56-81-86
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24